# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

№ 235 (5576)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# მინსკში შეხვედრა სკანდალით დასრულდა




10

## აშშ მხარს უჭერს საქართველოს და უკრაინას

**„ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს ნატოში საქართველოს და უკრაინის გაწევრიანებას, თუ ისინი შემდგომშიც არ გადაუხვევენ არჩეული გეზიდან“, – განაცხადა რიგაში გამართულ ნატოს სამიტზე გამოსვლისას შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.**

„საქართველომ გამოთქვა ნატოში გაწევრიანების სურვილი. თუ საქართველო კვლავაც განახორციელებს რეფორმათა კურსს, ჩვენ მხარს დავუჭერთ მის სურვილს. მხარს ვუჭერთ ასევე უკრაინის ლიდერებს, რომლებიც ებრძვიან კორუფციას, ცდილობენ მიაღწიონ მშვიდობას და კანონის უზენაესობას. თუ უკრაინა არ გადაუხვევს არჩეული კურსიდან, მისთვის ნატოს კარი ღია იქნება, რა თქმა უნდა, მას ამის სურვილი თუ ექნება“, – თქვა ჯორჯ ბუშმა.

პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები დაინტერესებულია რუსეთთან თანამშრომლობის განვითარებით. „ჩვენ რუსეთი მიგვაჩნია მნიშვნელოვან სახელმწიფოდ მსოფლიო სივრცეში და დაინტერესებული ვართ ამ ქვეყანასთან თანამშრომლობის განვითარებით, განსაკუთრებით – ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მასობრივი განადგურების იარაღის მოსპობის მიმართულებით“, – განაცხადა ჯორჯ ბუშმა და დასძინა, რომ შეერთებული შტატები დაინტერესებულია მთელ მსოფლიოში უშიშროების სისტემის განმტკიცებით.

დანახული ჭირი

7

## ვისი არჩევანია ანტიმართლმადიდებლური „არჩევანი“?

ბიზნესი

8

## „ტკბილი ქვეყანა“ მწარე ყოფაში

პრობლემა

6

## „ავადმყოფი“ ნიღბი

უკეთ, ვიდრე ათენში!

## ოლიმპიური ჭკერდი

12



## დედამ ქუჩაში გამომაგდო...

9

ძნელადაღსაზრდელები

## დაველოდოთ, ვიდრე პრეზიდენტი საიდუმლოს გაგვიმხელს

3

## გამხდრები და გაუპარსავები გარეთ ნუ გახვალთ!

● „საქართველოს ბანკი“ პოსტსაბჭოთა სივრცეში მეორეა ყაზახეთის ბანკის შემდეგ, ვინც ლონდონის საფონდო ბირჟაზე გავიდა და თავისუფალ ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო



№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ მოვლენა

# პირველად საქართველოდან...

## ლონდონის საფონდო ბირჟაზე

**გუშინ, 29 ნოემბერს, საქართველოს ისტორიაში პირველად, ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი „საქართველოს ბანკის“ აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასაყიდად გაიტანეს. უახლეს ისტორიაში ეკონომიკური წიაღსვლის ამ მეტად საგულისხმო მომენტის უდიდეს მნიშვნელობაზე დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საგანგებო ვიზიტიც მეტყველებს, რომელიც იქ პირდაპირ ბელარუსის დედაქალაქ მინსკში გამართული დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა სამიტიდან „საქართველოს ბანკის“ აქციების პრეზენტაციაზე ჩავიდა. მას ქვეყნის ხელისუფლების მაღალჩინოსნები, „საქართველოს ბანკის“ ხელმძღვანელობა, მასმედიის წარმომადგენლები ახლდნენ.**

„საქართველოს ბანკი“ პოსტსაბჭოთა სივრცეში მეორეა ყაზახეთის ბანკის შემდეგ, ვინც ლონდონის საფონდო ბირჟაზე გავიდა და თავისუფალ ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო.




— ბოლო დროს „საქართველოს ბანკის“ აქციების ფასმა იმდენად მოიმატა, რომ შესაძლებელი გახდა მათი საერთაშორისო ბაზარზე გატანა, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის უტყუარი დამადასტურებელი ნიშანია, — განაცხადა საქართველოს დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გიორგი არველაძემ.

თავის მხრივ, „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტმა ლადო გურგენიძემ აღნიშნა: მეტად საგულისხმოა, რომ ძალიან ბევრმა პოტენციურმა ინვესტორმა თვალნათლივ დაინახა, რომ უცხოური კაპიტალი ჩვენში უკვე აქტიურად მუშაობს, მათ შორის, საბანკო სფეროშიც. პირადად ჩემთვის მეტად სასიხარულოა, რომ ამ ისტორიული მოვლენის მომსწრე ვარ და შესაძლებლობა მაქვს, რეკლამა გავუწიო საკუთარ ქვეყანას. ამასთან, ყოველივე ეს, დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს.

— საქართველოს საბანკო სისტემა მაღალი რეპუტაციით სარგებლობს. ყველამ კარგად იცის, რომ ქართული საბანკო არხების მეშვეობით შეუძლებელია ფულის გათეთრება ან სხვა სახის მანიპულაციები, რაც მას უცხოელი ინვესტორების თვალში ავტორიტეტს მატებს, — განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ არა საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ქვეყნის მაღალი სუვერენული რეიტინგი და საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური კურსი, არც ერთი ინვესტორი ქვეყნის საფინანსო სისტემაში ასეთ უზარმაზარ კაპიტალდაბანდებას არ განახორციელებდა.

**საკუთარი ინფორმაცია**

◎ ინფორმაცია

### თუ პრეზიდენტი პარლამენტს ორჯერ დაითხოვს

**პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ურთიერთობა რეგულირდება, ოპოზიცია გარკვეულწილად წინ გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს, თუმცა მისი თქმით, უფრო მეტი ცვლილებებია საჭირო.**

**ინიციატივის მიხედვით, თუ პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების ერთ ვადაში პარლამენტს ორჯერ დაითხოვს, მაშინ პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება და ტარდება რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.**

**ამ საკითხთან დაკავშირებით, ოპოზიციამ და უმრავლესობამ მექანიზმის განხორციელების უფრო მეტად დაზუსტდება მოითხოვა.**

**როგორც ახალი მემარჯვენეების წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ განაცხადა, საჭიროა მოხდეს კონკრეტული ვადის განსაზღვრა.**

**უმრავლესობის წარმომადგენლის, პალიკო კუბლაშვილის განცხადებით კი, უფრო მეტად დასაზუსტებელია ის მექანიზმი, ასეთ შემთხვევებში უფლებამოსილებას მეტი უპირატესობით მთავრობა განახორციელებს თუ პარლამენტი.**

### განვითარების რთულ ეტაპზე

**დსთ-ს მეთაურთა სამიტიდან დაბრუნებული საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი აცხადებს, რომ საქართველო ამ სამიტზე იმისათვის გაემგზავრა, რომ სერიოზულ პარტნიორებთან ორმხრივი შეხვედრები გაემართა.**

**მისივე ინფორმაციით, ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრები შედგა რუსეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის პრეზიდენტებთან.**

**— ამგვარი შეხვედრების მნიშვნელობა ძალზე დიდია. რაც შეეხება დსთ-ს დღის წესრიგს, იქ არავითარი სერიოზული ინტერესი ჩვენ არ გვქონია. პრაქტიკულად, საკითხები სერიოზულად არც განხილულა. მივიჩნევ, რომ დსთ იმყოფება განვითარების რთულ ეტაპზე. სხვადასხვა ლიდერთა წარმოდგენებიც კი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს დსთ მომავალში, სხვადასხვაგვარია. თუმცა, ჩვენ ამ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას არ ვილებთ, — აცხადებს ჩეჩელაშვილი.**

### რუსი მიტროპოლიტი ფიქრობს

**ქართულმა და რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიებმა ერთობლივი ძალისხმევით აფხაზეთში საეკლესიო მოწყობის დროებითი, შუალედური მოდელი უნდა შექმნან. ამის შესახებ რუსეთის საპატრიარქოს შინასაეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, სმოლენსკის მიტროპოლიტმა მეუფე კირილმა განაცხადა.**

**მანვე აღნიშნა, რომ მართალია აფხაზური ეკლესია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II არ მოიხსენიებს, იგი კანონიკურად მაინც ქართულ ეკლესიას ეკუთვნის.**

**მისივე თქმით, სასულიერო განათლების მიღების მსურველი აფხაზი ახალგაზრდების რიცხვი იზრდება და ამ მიზნით ისინი რუსულ სასულიერო სკოლებს მიმართავენ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ გამოძახილი

# სამიტი პრეზიდენტების კლუბად გადაიქცა

## საქართველო შეხვედრას დასჯერდა, მოლდოვა — შეგედს

**მიმდინარე კვირა ქართველი პოლიტიკოსებისთვის საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. ორშაბათს პარლამენტის თავმჯდომარე, უმრავლესობის რამდენიმე წევრითურთ, რიგაში — ნატოს სამიტზე გაემგზავრა, ერთ-ეთი მთავარი თემა, საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება იყო.**

ქართულმა დელეგაციამ გენერალური მდივნისგან ქება დაიმსახურა, სხეფერი საქართველოს მუშაობით კმაყოფილია. გუშინწინ კი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების პრეზიდენტები ერთმანეთს მინსკში დსთ-ს სამიტზე შეხვდნენ. წინსვლა აქაც გვქონდა, თანაც დაუგეგმავი — გაბუტული პრეზიდენტები „შერიგდნენ“.

საპარლამენტო უმრავლესობა კმაყოფილია, რომ ეს „დიპლომატიური გაბუტულობა“ დიალოგით შეიცვალა. კოტე გაბაშვილისთვის ესეც მოულოდნელი იყო, იცის, რომ ეს მნიშვნელოვნად არაფერს შეცვლის:

— ვინც ამ შეხვედრიდან რაიმე კონკრეტულ შედეგს ელოდა, იმას დიპლომატიის არაფერი გაეგება. ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთი არავითარ დიალოგზე არ მოდიოდა, ახლა კი ეს სიმწვავე ალბათ დაიკლებს. დსთ-ს სამიტზე საგულისხმო სწორედ ეს ფაქტი იყო. თავად ნაზარბაევმაც თქვა, კარგი ადგილია შეხვედრებისთვისო და სხვა დატვირთვა ამ სამიტს აღარ აქვსო. დსთ-ს სამიტი პრეზიდენტების კლუბად გადაიქცა. მისასალმებელია, რომ რუსეთმა აიძულა საკუთარი თავი გამოხმაურებოდა მთელი მსოფლიოს სურვილს საქართველოსთან დიალოგზე და არა მტრულ ურთიერთობებზე, — თქვა გაბაშვილმა.

გაბაშვილის განცხადების თანახმად, კახა კუკავა იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც დიპლომატიის არაფერი გაეგება, რადგან ის, რაც ბატონი კოტესთვის მოულოდნელი წარმატება აღმოჩნდა, კუკავასთვის სრულიად მოულოდნელია. პუტინთან შეხვედრის შემდგომ სააკაშვილის განცხადებას იგი ასე აფასებს.

— პრეზიდენტმა გააკეთა ძალიან გულარხეინი, უპასუხისმგებლო განცხადება, რომ მას საქართველოს მიმართ რუსეთის დამოკიდებულება არ აინტერესებს. ალბათ, პრეზიდენტმა არ იცის, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსეთის საოკუპაციო ჯარები დგას, მისთვის ალბათ არც ის უცნობებიათ, რომ რუსეთმა გაზზე ფასი გააძვირა და ჩვენი ექსპორტი, ეკონომიკური ზრდა შემცირებულია რუსული ემბარგოს გამო.

კუკავას საქართველოს პრეზიდენტის განცახდება განსაკუთრებით არაკვალიფიციური ეჩვენა, როცა რუსეთ-მოლდოვას პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ შეიტყო, რომ მოლდოვის პროდუქცია, მოლდოვური ღვინოების ჩათვლით, ამიერიდან რუსეთის ბაზარს დაუბრუნდება.

რუსეთის მიერ გაზის გაძვირების საკითხს კოტე გაბაშვილიც შეეხო. ის საშიშროებას ვერ ხედავს, მით უფრო, რომ ზამთარში ბუნებრივ გაზს აზერბაიჯანიდან მივიღებთ: — შეიძლება რუსეთში ჰქონიათ, რომ გაზის 300 დოლარად გაყიდვა კარგია, მაგრამ ამით კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს მთელს ევროპას, რომ ის სავაჭრო ურთიერთობებში სანდო პარტნიორი არ არის და პოლიტიკაში გაზით მანიპულირებს.

დსთ სამიტისგან განსხვავებით, ოპოზიციაც და უმრავლესობაც თანხმდება, რომ ნატოს სამიტი მართლაც შედეგიანი იყო. „მრეწველ“ გია ცაგარეიშვილის თქმით, ამ სამიტზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას წინ არაფერი დაუდგება.

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყანა ნატოს წავრი გახდება. რუსებმა გაიგეს, რომ უფროს-უმცროსობის ხანა დამთავრდა. ჩვენ ან ნორმალური სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობა გვექნება, ან კავკასიის ქედზე კედელი აღვმართოთ, როგორც ეს გააკეთეს ებრაელებმა არაბებისგან გამოსაყოფად, — დასძინა ცაგარეიშვილმა.

ცნობილია, რომ ნატო საქართველოსთან მიმართებაში დათმობაზე წავიდა. ის თანახმაა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში კონფლიქტების მოუგვარებლადაც გაგვაწევრიანოს. პარლამენტში ლაპარაკობენ, რომ იგივე ტენდენციები სხვა ქვეყნებთანაც შეინიშნება. ცაგარეიშვილს მაგალითისთვის კვიპროსი მოჰყავს, როცა ის ევროკავშირში თურქული ნაწილის გარეშე გაწევრიანდა და ახლა ნატოს წევრობისთვისაც მზად არის. კოტე გაბაშვილმა კი თვალსაჩინოებისთვის ნატოს ერთ-ერთი დამფუძნებელი სახელმწიფო — გერმანია მოიშველია, იმ პერიოდში, ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით, ყველაზე დიდი დარღვევები სწორედ ამ ქვეყანას ჰქონდაო.

**ლელა ხვადაგიანი**



● რუსეთი ძალზე პრინციპულია საქართველოს მიმართ და გადაწყვეტილებას არა ცვლის. ჩვენთვის კი, შესაძლოა, კარგიც იყოს მისი ასეთი თავგადაკლული პრინციპულობა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ამოვიგდოთ თავიდან სხვისი მოიმედეობა



◉ მოსაზრება

# დაველოდოთ, ვიდრე პრეზიდენტი საიდუმლოს გაგვიმხელს



**რა ილაპარაკეს რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა იმ იდუმალი 40 წუთის განმავლობაში, ჯერჯერობით არავინ უწყის. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის განცხადება მოვისმინეთ, ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს დღედაღამ არ უნდა ვფიქრობდეთ, რას იტყვის რუსეთი ჩვენზე, რას მოიმოქმედებს და რა გეგმები აქვს ჩვენს მიმართო. საქართველოს მომავალი ამიერიდან საქართველოშივე გამოიჭედებაო.**

ცხადია, „რაც შეიტანა, ისევ ის გამოიტანა“ მინსკის იდუმალებით მოცული შეხვედრიდან სააკაშვილმა. საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი ამაოდ ელოდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყებოდა. პუტინმა მოლდოვას და მის პრეზიდენტს ბევრი სასიკეთო აღუთქვა.

ჩვენ კი? ნუთუ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდით?

პარლამენტის უმრავლესობის წევრის ლალი ფაფიაშვილის თქმით, დსთ სამიტმა მას მოლოდინი გაუცრუა. იგი ელოდა, რომ რუსეთი გადადგამდა შემხვედრ ადეკვატურ ნაბიჯებს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველო არც დსთ-ზე და არც რუსეთზე მომავალშიც დიდ იმედებს არ უნდა ამყარებდეს.

თუმცა, პარლამენტარი დსთ-ს სიცოცხლისუნარიან ორგანოდ აღარც მიიჩნევს, რომელსაც მის წევრ სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენა შეეძლება. „ვფიქრობ, დსთ-ს სამიტის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური დსთ-ში საქართველოს ყოფნა–არყოფნის საკითხის თავად საქართველოში „განხილვა იქნება“, – თქვა მან.

ლალი ფაფიაშვილმა ილაპარაკა დსთ-სა და რიგის სამიტების კონტრასტულობაზე. რიგაში საერთაშორისო თანამეგობრობამ მხარდაჭერა საქართველოს ნატოსა და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისადმი. ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, რუსეთის მეთაურობით, ფაქტობრივად, დამატებით ბარიერებს უქმნიან საქართველოს განვითარებისა თუ ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. „ამერიკის დელეგაციისა და ბუშის განცხადებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს მომავალშიც შეიძლება ჰქონდეს ევროპელი კოლეგების მხარდაჭერის იმედი... თუმცა ძალიან კარგად ვიცით, რომ ამ თვალსაზრისით ბევრია გასაკეთებელი“, – დაურთო მან.

ლალი ფაფიაშვილის აზრით, რუსეთი საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ხელს ვერ შეუშლის, რადგან, თუ სხვა სახელმწიფოები მას მხარს არ დაუჭერენ, იგი ამ გადაწყვეტილების დაბლოკვას ვერ შეძლებს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივები დეპუტატის თქმით, ორივე ქვეყნის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა, რუსეთისგან იგი ამ ნებას ვერ ხედავს. „რუსეთი საქათრველოსთან აქტიურ პოლიტიკურ დიალოგზე არ მოდის. ამას ადასტურებს ისიც, რომ რუსეთში საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა ბოლოდროინდელი ვიზიტებისას, რუსეთის ოფიციოზი მათთან შეხვედრაზე უარს აცხადებდა.

„ასეთ კონფრონტაციულ რეჟიმში საკითხის გადაწყვეტა, ვფიქრობ, ორივე ქვეყანას ზიანს მოუტანს. თუმცა, რუსეთი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნებსაც უპირებს ემბარგოს დაწესებას. 1 იანვრიდან ხორცის პროდუქტებზე ემბარგოს დაუწესებს რუმინეთსა და ბულგარეთს, რაც ამ ქვეყნებს ყოველწლიურად 3-4 მილიარდ დოლარამდე აზარალებს“ – თქვა დეპუტატმა.

რუსეთი რომ სათავისოდ იყენებს ენერგორესურსებით ვაჭრობის ბერკეტს, არახალია, ძველია. ლალი ფაფიაშვილმა კარგად იცის, რომ იგი კვლავაც მაქსიმალურად შეეცდება პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც რუსეთის ენერგომატარებლებზე არიან დამოკიდებულნი.

**– ასეთ ვითარებაში დსთ-ში ყოფნა აზრს კარგავს?**

– თუ ჩვენ უახლოეს პერიოდში რუსეთთან დადებით გადაწყვეტილებებს ვერ მივაღწევთ – ენერგომატარებლებზე ფასის შემცირებას, ემბარგოების მოხსნას... ანუ თუ პოლიტიკური და ეკონომიკური დაინტერესება არ იქნება, მაშინ საქართველოს ყოფნას დსთ-ში, ფაქტობრივად, ყოველგვარი აზრი ეკარგება.

დსთ-ს ფორმატების, შეხვედრების გამოყენება მხოლოდ პოლიტიკურ ტრიბუნად ნაკლებად აქტუალური ხდება, ვინაიდან თავად დსთ, როგორც ორგანო, უკვე ნაკლებად სიცოცხლისუნარიანია. ასეთი შეხვედრების ორგანიზება, ალბათ, შესაძლებელი იქნება თუნდაც ორმხრივი, ან სხვა ორგანიზაციების ფორმატში.

ასე რომ, დაველოდოთ, გაგვაგებინებს თუ არა ჩვენი პრეზიდენტი პუტინთან საუბრის დეტალებს. მანამდე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთი ძალზე პრინციპულია საქართველოს მიმართ და გადაწყვეტილებას არა ცვლის. ჩვენთვის კი, შესაძლოა, კარგიც იყოს მისი ასეთი თავგადაკლული პრინციპულობა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ამოვიგდოთ თავიდან სხვისი მოიმედეობა. იმას რაღა სჯობს, რომ საქართველოს მომავალი მუდამ აქვე წყდებოდეს, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს?“

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ ინფორმაცია

## ზვიად ძიძიგური: სააკაშვილს სახეზე ეტყობოდა.....



ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ ერთ-ერთი ლიდერის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, პუტინ-სააკაშვილის შეხვედრა არაფრისმთქმელი იყო და არც დსთ-ს სამიტზე სააკაშვილის წასვლას მოუტანია რაიმე რეალური შედეგი.

„კიდევ ერთხელ დაინახა საზოგადოებამ, რომ დსთ არის მკვდარი ორგანიზაცია და საქართველოს იქ არაფერი ესაქმება. მით უმეტეს, საქართველო-რუსეთის გართულებული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე“, – აღნიშნა ძიძიგურმა.

მისივე განცხადებით, პრეზიდენტ სააკაშვილს, გუშინ დილით გაკეთებული განცხადების დროს, სახეზე ეტყობოდა, რომ აღფრთოვანებული არ იყო ამ შეხვედრით.

„უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო უაზრო შეხვედრა და შეხვედრა არაფრისათვის“, – დასძინა ძიძიგურმა.

ინტერპრესნიუსი

## 2007 წლიდან აფხაზეთი დააფინანსებს

აფხაზეთის გალის რაიონში ე.წ. აფხაზეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომდგენელი რუსლან ქიშმარია აცხადებს, რომ 2007 წლის 1-ლი იანვრიდან გალის რაიონის ყველა სოფლის სკოლა, მათ შორის ისინიც კი, რომლებიც საქართველოს საზღვართან ახლოს მდებარეობს, აფხაზეთის რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ აფხაზეთის გალის რაიონის პედაგოგებისთვის ხელფასის გადახდა უკანონობა იყო, ჩვენ ამის წინააღმდეგ არ წავსულვართ, ვითვალისწინებდით რა ამ პედაგოგების მძიმე მატერიალურ მდგომარეობას“, – ამბობს ქიშმარია.

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. განათლების მინისტრი ინდირა ვარდანია კი დასძენს, რომ 2007 წლის 1 იანვრიდან ადრე განხორციელებადი უკანონობა აღიკვეთება და აფხაზეთის გალის რაიონის სკოლების სრულ დაფინანსებას საკუთარ თავზე აფხაზეთის ხელისუფლება აიღებს.

მისივე თქმით, აფხაზეთის სკოლებში, და მათ შორის აფხაზეთის გალის რაიონის 12-ვე სკოლაში, სწავლება აფხაზეთის „რესპუბლიკაში“ დადგენილი სტანდარტების მიხედვით მიმდინარეობს.

ხი-ეიბ-ენი

◉ პოლიცია და ჩვენ

# გამხდრები და გაუპარსავები გარეთ ნუ გახვალთ!

## ორშაბათი მძიმე დღეა

**იმ დღეს 50 წლისა შევსრულდი. მეგობრებთან ერთად აღვნიშნე ეს თარიღი.**

შინ საღამოს 9 საათისთვის თავის საშინელმა ტკივილმა გამაღვიძა. 20 წელია ვეგეტონევროზი მჭირს. ამას პირადი ტრაგედიაც დაერთო – ამ 10 წლის წინათ 13 წლის შვილი დავკარგე, რამაც სულ დამინგრია ნერვული სისტემა. ამიტომ, დასაძინებლად, ფსიქოტროპულ საშუალებებს ვიყენებ. წამლის საყიდლად აფთიაქში წავედი. იქიდან გამოსულმა, პეკინის გამზირზე რომ გადმოვირბინე, მომესმა: „მოქალაქევ, შეჩერდით!“ პატრულის თანამშრომლები დავინახე. გავჩერდი. ეჭვი გვაქვს, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშა ხარო, მომახალეს.

ავუხსენი, ნაბახუსევი ვარ, ნაყიდი „დიაზეპამიც“ ვუჩვენე, მაგრამ მანქანაში ჩამტენეს და ნარკოლოგიურში გამაქანეს.

როგორც იქნა, მივედით. ვეკითხები: „ჩემი სიმართლე რომ დაადასტუროს ანალიზმა?“ ბოდიშს მოგიხდით და საიდანაც მოგიყვანეთ, იქ მიგიყვანთო. ეგ ბოდიში რომელ აფთიაქშილა იყიდება? ადვოკატის გარეშე, არავითარ შემთხვევაში არ მოვშარდავმეთქი. არადა, დაიმძიმებ მდგომარეობასო. დამემუქრნენ, „კპზ“-ში წაგიყვანთო.

მორიგე ექიმს ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილების შესახებ. მთხოვა, ოქმში ჩამეწერა კლინიკურლაბორატორიულ შემოწმებაზე უარის მიზეზი. ჩავწერე, თავს შეურაცხყოფილად მივიჩნევ, დაირღვა ჩემი ადამიანის, მოქალაქის უფლებები-მეთქი. სიტყვიერად დავამატე, ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, აუცილებლად გავასაჩივრებ-მეთქი.

„რა არის, ბიჭო, ბლატაობ? სახეზე გეტყობა, რაცა ხარ!?“ – შემომღრინეს. თან დამამუნათეს (ერთი სულაც ჩემი მოგვარე აღმოჩნდაძ, მოგვარე კი დამემუქრა, კანონები იცი და ამით სარგებლობო. ახლა ჩემს ყველა ეკიპაჟს დავავალებ და ყოველდღე მოგიყვანენ აქო“.




ერთი კი მივუგდე, აგერ ტელევიზიითაც აცხადებენ, წერენ კიდეც, რამდენი ნარკომანია ხელისუფლებაში და ასახელებენ კიდეც-მეთქი.

კაცმა რომ თქვას, რა შეუშლით ხელს, ჯიბეში ჩამიდონ რამე და ისე „გამაფუჭონ“. რა, არ უქნიათ, თუ?! ან კი ეს რაღა მოსატანია, როცა ამირან რობაქიძეს სიკვდილი არ აკმარეს და მანქანაში მთელი არსენალი ჩაუდეს, იქ ჩემთვის ნახევარი აბი სუბოტექსის „ჩადება“ გაუჭირდებათ?

მაინც რაზე დამაკავეს? ალბათ თვალში არ მოვუვედი. განა, მეტი მიზეზი იყო საჭირო? ახლა ბიუჯეტის შევსება? პირველ ჯერზე – 500, მეორეზე – 1500 ლარი ჯარიმა ნარკომანობისთვის. მერე კი – ციხე. რის მკურნალობა, რა მკურნალობა!

დავრჩი ასე შეურაცხყოფილი. თანაც, მეორე დღეს შინ მითხრეს, პოლიციამ მოგაკითხაო. რა უნდათ, რას მერჩიან. ეგებ, „შავ სიაშიც“ ვარ, მაგრამ ვეცდები, სამართალმა პური ჭამოს! ძალმომრეობამ არ უნდა გაიმარჯვოს. ჰო, არც ბოდიში მოუხდიათ.

**დავით მხეიძე**

***P.S. გამხდრები და წვერგაუპარსავები ერიდეთ ქუჩაში გამოსვლას! სანამ ამ სახიფათო ნაბიჯს გადადგამდეთ, ბენდუქიძესავით თუ არა, სხვა მაღალჩინოსანთა მსგავსად მაინც ჩაპუტკუნდით, თორემ იძულებითი წესით მოშარდვა არ აგცდებათ.***



№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

● სამი წელი ის დროა, როცა რაღაც-რაღაცეები უკვე შეგიძლია დათვალო შემოდგომის წიწილებივით



№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ ინფორმაცია

## გაზის კომპანიები მოლაპარაკებებს აწარმოებენ

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიები გაზის მოწოდების თაობაზე გაზექსპორტთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა, განაცხადა.

— გაზის მოწოდებაზე თურქეთთან მოლაპარაკებების პირველი რაუნდი დასრულდა და, სავარაუდოდ დეკემბრის ბოლოსათვის გვეცოდინება მოხდება თუ არა შაჰდენიზის რეკონტრაქტირება. მოლაპარაკებები მიმდინარეობს აზერბაიჯანთან და გაზექსპორტთან, — განაცხადა ნოღაიდელმა.

მისივე განმარტებით, ქართული გაზის ტრასნპორტირების კომპანიები გაზექსპორტთან მოლაპარაკებებს ერევანში აწარმოებენ, რადგან მოსკოვში ჩასვლა და მოლაპარაკებების გამართვა ვერ ხერხდება.

## სტაჟირების მსურველთათვის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სტაჟირების მსურველთათვის კონკურსი გამოცხადდა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებს12 დეკემბრამდე უნდა მიმართონ და შესაბამისი დოკუმენტები წარადგინონ.

იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტში სტაჟიორად შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი.

კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება 2006 წლის 19 დეკემბერს.

კონკურსანტი ვალდებულია არსებული ხუთი კითხვიდან ოთხს სწორი პასუხი გასცეს. კონკურსის მეორე ეტაპის — გასაუბრების — თარიღი დაინიშნება პირველი ეტაპის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

## კობის მონაკვეთზე მოძრაობა შეზღუდულია

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტაძ-კობის მონაკვეთზე, მოყინვის გამო აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში განაცხადეს, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ზვავდამცავი გვირაბის გავლით.

ორი ან მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

## წითელმა ჯვარმა აღადგინა

ე.წ. სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო წითელმა ჯვარმა ერთ-ერთი უდიდესი პროექტის განხორციელება დაასრულა. 2005 წელს დაწყებული ცხინვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები მთლიანად დასრულებულია.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს საავადმყოფო თითქმის მთლიანად განადგურებული იყო. არ იყო ელექტროენერგია, გათბობის სისტემა და საკანალიზაციო ქსელი მთლიანად მოშლილი იყო.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ გუშინ, დღეს...

# შევინარჩუნოთ თავი მხრებზე

**კიდევ ერთი გიორგობა მობრძანდა და წაბრძანდა და გვამცნო, რომ დრო, რაგინდ ერთიანად ზეიმ-დღესასწაულებისგანაც იყო ნაქსოვი, გამუდმებით მდინარებს, თანაც ჭორომებსა ზედა...**

თითქოს ისევ გაურკვეველი მოლოდინის საქოჩრიდან რომ გაჰყურებ წალენჯიხიდან მომქროლავი ავტობუს-რევოლუციის ანთებულ ფარებს, სამი წელი არ გასულა?!

სამი წელი ის დროა, როცა რაღაც-რაღაცეები უკვე შეგიძლია დათვალო შემოდგომის წიწილებივით.

არადა, კარგა გვარიანი სათვლელი გამოდის გამართლებულიან-არგამართლებულიანად, ზოგადადაც და კერძოდაც —

ზურგიდან მოვიხსენით მოქკავშირი;

რეალურად შევჭრა ფესვები კორუფციას (განსაკუთრებით, დაბალ და საშუალო რგოლებშიძ;

„შემოვიმტკიცეთ“ აჭარა (ვინმეს სიამოვნებს ამის მოსმენა თუ არა, მეთანხმება თუ არა, ეს ასეა და კაციშვილი ვერ გადამარწმუნებსძ;

მართლა ჯარს დაემსგავსა ჩვენი ჯარი;

გარდარეულად დაგვიმეგობრდა ამერიკა;

თავქუდმოგლეჯილი მივშლიგინებთ ნატოსკენ;

ყუაზე დავიდა ცხრათავიანი ვით ჩაკეტილ, აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა, რომლის „მეციხოვნე“ თინეიჯერებმაც არ იციან და არც უნდა იცოდნენ საქმე;

შეღებილ-შელამაზებული ფასადების მიღმა სიმახინჯე და სილატაკე იფარება;

ფასების შეუჩერებელი მატება აუფასურებს გაზრდილ და დროულად მიცემულ ხელფასსა და პენსიას;

მდიდრებმა განუზომლად მეტი იშოვნეს, ღარიბები კი სულ წავიდნენ ხელიდან, რაც მთავარია, „მათი სახელი ლეგიონია...“

მთავარი შედეგი რევოლუციისა მაინც ის არის, რომ საქართველო ექსკლუზიურად პირველია მსოფლიოში მრავალ დარგში. ერთადერთს მხოლოდ ჩვენ გვაქვს, მაგალითად, ჩოლოქის გასართობი პარკი, რაც არა მხოლოდ რუსეთს, ევროპასაც არ მოლანდებია.

შესაბამისად, ქართველები ყველაზე პირველები და ყველაზე მაგრები ვართ მსოფლიოში.

ქართველოს მიერ ჩაგრული აფხაზები და სამხრეთოსები.

ჩვენ საყოველთაო მსოფლიო პირველობისკენ მივგრიალებთ და (ეშმაკს არ სძინავს!) დიდი მეცადინეობა გვჭირდება, თავში რომ არ აგვივარდეს.

დღეს საქართველოს თავდაცვის ხაზი ეკონომიკაზე გადის. ჩვენი პრეზიდენტი დიდხანს და საგულდაგულოდ ეძიებდა ამ თავდაცვის ხაზისთვის ამირან დარეჯანის ძეს და არჩევანი ირაკლი ოქრუაშვილზე შეაჩერა. ამ გადაადგილების საჭიროებას იგი ისეთ აუცილებლობად მიიჩნევდა, რომ საჯაროდ უკან წაილო თავისი ადრინდელი, ასევე საჯარო დანაპირები — ოქრუაშვილი მანამდე იქნება თავდაცვის მინისტრი, სანამ წართმეულ ტერიტორიებს არ დაიბრუნებსო.

წართმეული ტერიტორიები ვერ დაიბრუნა (თუმცა თავისი სიხისტით და საეჭვო ღირებულების პირდაპირობით ის კი შეძლო, რომ შინაურიც და გარეულიც

მთავარია, სულ მორჩა თუ არა ქვიშაზე დაფუძნებული ჰაი-ჰუი, მუშტების ქნევა, რითაც ზემოხსენებულმა მხედართუფროსმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ რუსეთს ჯერ კბილებამდე შეაიარაღებინა ბალაფში და კოკოითი, შემდეგ კი სულაც თავის ხერხემალზე დაამყნობინა ორივე ეს ავი კვირტი.

ღვინო-ყურძნის გენერალს (სამხედრო წოდება თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა მხოლოდ მევენახეობის დარგში მიიღოძ ხვავრიელი წილი მიუძღვის რუსეთთან ურთიერთობის უიმედოდ ჩაოხრებაში. მინსკის სამიტზე პუტინ-სააკაშვილის 40-წუთიანი საუბრის შემდეგ ამ ურთიერთობაში ფაქტობრივად არავითარი სხივი არ გამოჭიატებულა. რომ გამოჭიატებულიყო, ამას უხვი და მსუყე კომენტარებით გვაცნობებდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ერთობ მშრალად და ლაკონიურად განგვიცხადა, ჩვენი თავის გარდა, სხვისი იმედი ნაკლებად უნდა გვქონდე-



გველეშაპი — ბიუროკრატიული ოპერატი;

მოწესრიგდა და მოასფალტდა გზები;

შეიღება და გალამაზდა შენობები;

დროულად გაიცემა მომატებული ხელფასები და პენსიები...

იმადროულად —

მოქკავშირს ერთმმართველობაში ჩაენაცვლა ნაცმოძრაობა;

ტოტალური კორუფციული მმართველობისგან განთავისუფლებულ ქვეყანას მარჯვედ ინაწილებენ ჩაუქი ჭაბუკების შეხმატკბილებული გუნდები;

განმდგარი სეპარატისტული რეჟიმები ბევრად უფრო გაავდნენ და რევოლუციამდელზე განუზომლად დაგვშორდნენ;

მტრად მოვიკიდეთ რუსეთი;

ყველა სამინისტრო, უწყება და ორგანიზაცია ცხრაკლიტული-

ჩემი თაობის ხალხს ახსოვს, როგორ გვასწავლიდნენ სკოლებში რუსების ყველაფერში პირველობას: რადიო პოპოვმა გამოიგონაო, ორთლის მანქანა — პოლზუნოვმაო, ელექტრონათურა — იაბლოჩკოვმაო... სტალინს სჭირდებოდა რუსისთვის მყარად ჩაენერგა სიამაყე რუსი ერის გამორჩეულობის გამო. სხვათა შორის, მანვე აუცრა რუსს ტვინში, რომ ის „ინტერნაციონალისტია“, ყველა ჩაგრულის ქომაგია და ეს ზებარდმო მისია ყველგან და ყოველთვის უნდა აღასრულოს.

აქედან — რუსის სიბრიყვემდე მისული რწმენა, რომ ვალდებულია ყველა ხალხის საქმეში ჩაყოს ცხვირი, ეკითხებიან თუ არ ეკითხებიან. აქედან, გამოკითხულთა 51 (?ძ პროცენტის პასუხი, რომ რუსეთმა უნდა შეიფაროს დამპყრობელი იმპერიული სა-

აიმხედრა და წართმეულის დაბრუნება კარგა ხნით გადასწია უკან, გაურკვევლობისკენძ, მაგრამ სამხედრო თავდაცვის წინა ხაზიდან იგი კიდევ უფრო წინ — ეკონომიკური თავდაცვის წინა ხაზზე მაინც გადაიყვანეს.

მაგრამ ერთი თავდაცვიდან მეორე თავდაცვაში გადაყვანის ხარისხობრივმა აღმატებულებამ თვით მისი აღმატებულება ვერ დაარწმუნა და საერთოდ ყოველგვარი თავდაცვიდან წავიდა, თანაც კარი ისე გაიჯახუნა, მთელს ამერს და იმერს სულ ზანზარი გაუდიოდა.

ეს კია: მე მაინც დავბრუნდებიო, მოკლედ და ბუნდოვნად დაიბარა, როგორც ანრი ჯოხაძის სიმღერაშია, მე მაინც მოვალო.

მაგრამ მთავარი სულაც არ არის ის, მაინც და ისევ მოვა თუ არა ოქრუაშვილი.

სო, მორჩა, არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, რას ფიქრობს ჩვენზე მოსკოვიო. არადა, ბატონ პუტინს მოლდოვის პრეზიდენტთანაც ჰქონდა საუბარი, რის შემდეგაც მას შეპირდა, ღვინის და ხორცის ემბარგოს მოხსნაში დაგეხმარებიო.

ასე რომ, მთლიანად ჩვენი თავისა და ვაშინგტონის სიტყვიერი მხარდაჭერის იმედად ვრჩებით, განსაკუთრებით ნატოში შესვლის საკითხში (თვით შესვლის ვადა ჯერჯერობით ჰაერში ჰკიდიაძ.

ოღონდ, ეს კია, ჩვენი თავის იმედად ყოფნა აღრენილ-აღერღილ რუსეთთან ფაქტობრივ პირისპირ დგომას ნიშნავს და დიდი ჭკუა, მოთმინება და ენაზე კბილის დაჭერა გვმართებს, ეს თავი მხრებზე რომ შევინარჩუნოთ.

**სანდრო ალექსიძე**

◎ ჩვენებურები

# ყოჩაღ, ლიპეცკელებო!

**გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ რუბრიკით „პოლიტიკური ცხოვრება“ გამოაქვეყნა ინფორმაცია „ლიპეცკელი დეპუტატები არ დაემორჩილნენ ანტიქართულ ისტერიას“. ვფიქრობთ, მასში გადმოცემული ამბავი ერთობ დააინტერესებს ჩვენს მკითხველებსაც. აი, ისიც: „მეოთხე მოწვევის დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეორე სესიაზე ხმათა დიდი უმრავლესობით მაქსიმ ქავჭარაძე არჩეულია რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს წევრად.**

ეს უკვე მეორედ მოხდა. დეპუტატები ვერ შეაცბუნა რჩეულის ქართულმა გვარმა, ვინაიდან ისინი კანდიდატზე მსჯელობდნენ, უწინარეს ყოვლისა, მისი საქმეებით. ფედერაციის საბჭოში არჩევამდე იგი მუშაობდა რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სასურსათო მაზრის რეგულირების ფედერალური სააგენტოს“ გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ, იყო ფედერაციის საბჭოს აგრარულ-სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფედერაციის საბჭოს ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა კომისიის წევრი.

მეტი რა გვეთქმის, ყოჩაღ, ლიპეცკელებო!

● რეგიონში ქართველების წილმა შეადგინა მთელი მოსახლეობის მხოლოდ 3,87 პროცენტი, ხოლო სომხების წილმა – 94,86 პროცენტი!



◉ დემოგრაფია

# ჯავახეთი ხალხთა თანაცხოვრების სანიმუშო მხარედ უნდა იქცეს!

**ჯავახეთი ისტორიულად საქართველოს უძველესი მხარეა და მოიცავს ამჟამინდელი ნინოწმინდის და ახალქალაქის რაიონებს. აგრეთვე, ასპინძის რაიონის ტერიტორიის ნაწილს მტკვრის ხეობის გასწვრივ, ხერთვისის ზემოთ და თურქეთის კოლა-არტაანის მხარეს.**

ჯავახეთი პირველად ძვ.წ.აღ-ის 785 წელს მოიხსენიება ურარტუს მეფის არგიშთ I-ის წარწერებში, როგორც დაპყრობილი მხარე. ცნობილია, რომ ძვ.წ.აღ-ის IV-III სს-ის მიჯნაზე შეიქმნა ქართლის (იბერიის) სამეფო. ჯავახეთი იყო მისი ერთ-ერთი საერისთავო (ცენტრი – წუნდა). საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში (XII-XIII ს.ს.) ჯავახეთი აღმავლობის გზას დაადგა: აშენდა ქარვასლები, ხიდები, ეკლესია-მონასტრები, სამეფო რეზიდენციები (დლიკი, ღრტილი, ბეჟანო, ვარძია, ალასთანი). XI ს-დან ზემო ჯავახეთის პოლიტიკური ცენტრი გახდა ახალქალაქი, ხოლო ქვემო ჯავახეთისა – თმოგვი. XII ს-დან ზემო ჯავახეთს თორელთა საგვარეულოს წარმომადგენლები განაგებდნენ. XV ს-ში ჯავახეთი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს შეუერთდა. იმხანად მხოლოდ ჯავახეთში 100000-მდე ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი ცხოვრობდა.

XVI ს-ის დამლევს სამცხე-ჯავახეთი ოსმალებმა დაიპყრეს. ქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილი ბრძოლებში დაიღუპა, მეორე ნაწილი მეზობელ იმერეთსა და ქართლში გაიხიზნა. ადგილზე დარჩენილ მოსახლეობას კი ძალით მიაღებინეს ისლამი. თუმცა, ქრისტიანული ძეგლების მახლობლად დასახლდა მართლმადიდებელი ქრისტიანული რწმენის ქართველი მოსახლეობაც, რომელიც ბოლომდე დარჩა ამ რწმენის ერთგული. იმდროინდელ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეთნოსოციალური შემადგენლობის საყურადღებო მონაცემები დაფიქსირებულია თვით ოსმალების მიერ 1595 წელს შედგენილ „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“, რომელშიც ფისკალური გადასახადების ამოღების მიზნით, მოცემულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის აღწერის შედეგები. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თინა იველაშვილმა, დავთარში არსებული მასალის ანალიზის შედეგად, დაადგინა, რომ XVI ს-ის დამლევს ჯავახეთის 209 მოქმედ სოფელში ცხოვრობდა 2922 კომლი 78130 სულით, საიდანაც 141 კომლი არაქართველი მოსახლეობით იყო წარმოდგენილი, რაც რეგიონის მოსახლეობის 4,82 პროცენტს შეადგენდა. დანარჩენი მოსახლეობა (95,18 პროცენტს) სახელისა და მამის სახელის მიხედვით ქართველი ქრისტიანები იყვნენ. მათ ქართველობასა და მართლმადიდებელ ქრისტიანულ რწმენას ადასტურებდა ის ფაქტიც, რომ შეწერილი ჰქონდათ გადასახადი ღორზე, რომლის შენახვა მუსულმანებსა და იუდეველებს ეკრძალებოდათ.

მიახლოებით თუ ჩავთვლით, რომ რუსეთის იმპერიის ახალქალაქის მაზრას ხერთვისის ლივის ტყიანი ჯავახეთის რაიონი და ახალქალაქის ლივის აკშეპირისა და თმოგვის რაიონები შეესაბამებოდა, მაშინ ახალქალაქის მაზრის შესაბამის ტერიტორიაზე, საორიენტაციოდ, განლაგებული იქნებოდა 94 მოქმედი სოფელი, ჯამური მოსახლეობით 27450 სული. აქედან, არაქართველი 1715 კაცი (6,25 პროცენტიძ იყო, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა (55735 კაცი, ანუ 93,75 პროცენტიძ ყოფილა ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი.

1828-29 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით, სამცხე-ჯავახეთის მხარის დიდი ნაწილი, კოლა-არტაანის რაიონის გარდა, საქართველოს დაუბრუნდა. ცარიზმის მოხელეებისა და გრიგორიანული ეკლესიის სასულიერო პირების ძალისხმევით, სამცხე-ჯავახეთში გატარდა ღონისძიებები, რის გამოც ძირეულად შეიცვალა რეგიონის დემოგრაფიული სიტუაცია. ჯერ იყო და, 35 ათასი კაცი გაიხიზნა თურქეთის შიგა რაიონებში იმის შიშით, რომ რეგიონში დარჩენილ გამაჰმადიანებულ მესხებს იძულებით გააქრისტიანებდნენ. მათ ნაცვლად კი რეგიონში ჩაასახლეს ყარსიდან და ერზრუმიდან დევნილი 30 ათასი სომეხი, აგრეთვე რუსეთის გუბერნიებიდან (ვორონეჟიდან, ტავრიიდან და ტამბოვიდან) 3 ათასამდე სექტანტი დუხობორი.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული პირველი საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა 72709 მოსახლე, რომელთა 9 პროცენტი მოდიოდა ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე, 72 პროცენტი – სომხებზე (მათ შორის, „ფრანგებზე“ძ და 10 პროცენტი – მაჰმადიანებზე.

1926 წელს საბჭოთა კავშირში განხორციელდა მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა, რომლის შედეგების მიხედვით, ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა 59904 მოსახლე, მათ შორის, 7,2 პროცენტი ქართველი იყო, 80,5 პროცენტი – სომეხი და 5,9 – მაჰმადიანი; მოსახლეობის 4,5 პროცენტი მოდიოდა რუსებზე, ხოლო 2,35 პროცენტი – დანარჩენებზე.

XX ს-ის ამ მონაკვეთზე (აღწერიდან – აღწერამდეძ რეგიონის მოსახლეობა შემცირდა 12805 კაცით, ანუ 17, 76 პროცენტით, მათ შორის ქართველები – 2138-ით (33,15 პროცენტითძ, მაჰმადიანები – 3286 (48,7 პროცენტითძ ხოლო სომხები მხოლოდ 4139-ით (7,91 პროცენტითძ. ქართველებისა და მაჰმადიანების რიცხობრიობა, როგორც აბსოლუტურად, ისე პროცენტულად, შემცირდა მათი მიგრაციით, შესაბამისად, საქართველოს შიგა რაიონებსა და თურქეთში, ხოლო სომხების რაოდენობა ძირითადად შემცირდა მათი მეზობელ რეგიონებში ჩასახლების გამო.

1930 წელს ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში ჩამოყალიბდა ხუთი რაიონი: გორლოვკის (1933 წლიდან – ბოგდანოვკისძ, ახალქალაქის, ტოლოშის (1933 წლიდან – ასპინძისძ, ახალციხისა და ადიგენის რაიონები, მათგან ბოგდანოვკის (ნინოწმინდისძ და ახალქალაქის რაიონები მოიცავდა ჯავახეთის რეგიონს, ხოლო ახალციხისა და ადიგენის რაიონები – სამცხეს. ასპინძის რაიონს კი ეკავა ორივე რეგიონის ტერიტორიების ნაწილი. ამის შემდეგ, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები მოიაზრებოდა როგორც ჯავახეთის რეგიონი, ხოლო ახალციხის, ადიგენის და ასპინძის რაიონები, როგორც სამცხის რეგიონი. ამის გამო, ჯავახეთში რამდენადმე გაიზარდა სომეხი მოსახლეობის, ხოლო სამცხეში – ქართველი და მაჰმადიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი.

მეორე მსოფლიო ომის წინ, 1939 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის შედეგების მიხედვით, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში ერთად აღებული ცხოვრობდა 99230 მოსახლე, მათგან ქართველები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 5 პროცენტს (4950 სულსძ, რუსები – 7,2 პროცენტს (6964 სულსძ, სომხები – 82,8 პროცენტს (81457 სულსძ, ხოლო აზერბაიჯანელები (თურქებიძ – 5,06 პროცენტს (5024 სულსძ.

1939 წელს, 1926 წელთან შედარებით, რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 1,66-ჯერ, მათ შორის, ქართველების – 1,15-ჯერ, რუსების – 2,86-ჯერ, სომხების – 1,69-ჯერ, აზერბაიჯანელების (იმხანად ყველა მაჰმადიანი აზერბაიჯანელად იწერებოდაძ – 1,42-ჯერ. ჯავახეთის ორივე რაიონში სომეხი მოსახლეობის უპირატესი ზრდის ხარჯზე რეგიონს თანდათან სომხური ელფერი დაედო.

დემოგრაფიული სიტუაცია რეგიონში კიდევ უფრო მკვეთრად შეიცვალა სომეხი მოსახლეობის სასარგებლოდ რეგიონიდან მაჰმადიანების დეპორტაციისა და ქართველების საქართველოს შიგა რეგიონში შემდგომი მიგრაციის შედეგად.

1959 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონებში მოსახლეობის რაოდენობა, წინა აღწერის მონაცემებთან შედარებით, შემცირდა 4,4 პროცენტით და შეადგინა 95035 სული, მათ შორის: ქართველებზე მოდიოდა 3,8 პროცენტი, (3610 სულიძ, რუსებზე – 6,59 პროცენტი (6263 სულიძ, სომხებზე 88,7 პროცენტი (84299ძ და დანარჩენებზე 0,83 პროცენტი (784 სულიძ. წინა აღწერებთან შედარებით, ქართველების აბსოლუტური რაოდენობა შემცირდა 4,96 პროცენტით, რუსების რაოდენობა – 11,40 პროცენტით, სომხების რაოდენობა კი გაიზარდა 3,5 პროცენტით (2842 სულითძ.

იგივე ტენდენცია შენარჩუნდა შემდგომი აღწერების პერიოდშიც, მცირდებოდა ქართველებისა და რუსების რიცხობრიობა და პროცენტული შემადგენლობა და, პირიქით, იზრდებოდა იგივე მაჩვენებლები სომეხი მოსახლეობის სასარგებლოდ.

დემოგრაფიული სიტუაცია რეგიონში პრაქტიკულად უცვლელი დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. 2002 წელს, 1989 წელთან შედარებით, ახალქალაქის და ნინოწმინდის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა შემცირდა 11723 სულით (11 პროცენტითძ, რაც საქართველოში ამავე პერიოდში მოსახლეობის შემცირების (დაახლოებით, 15,6 პროცენტიძ ფონზე არ უნდა იყოს გასაკვირი. ამ პერიოდში ოდნავ გაიზარდა ქართველების რიცხობრიობა (231 კაცით, ანუ 6,68 პროცენტითძ და რამდენადმე შემცირდა სომხების რიცხობრიობა (6683 კაცით, ანუ 7,39 პროცენტითძ. ამის მიუხედავად, რეგიონში ქართველების წილმა შეადგინა მთელი მოსახლეობის მხოლოდ 3,87 პროცენტი, ხოლო სომხების წილმა – 94,86 პროცენტი.

ამ გარემოებათა გამო, ჯავახეთში (ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებიძ XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში ჩამოყალიბდა ანტისახელმწიფოებრივი, ფაქტობრივად, ანტიქართული დაჯგუფებები, საზოგადოებები და პარტიები, რომლებიც მოითხოვდნენ ჯავახეთის ავტონომიას, რეგიონში საქმეთწარმოებას სომხურ ენაზე, ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზის შენარჩუნებას და სხვ. ამასთან, ამ მოთხოვნის გატარების აუცილებლობას ხსნიდნენ მოსახლეობის ძალზე მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ-საყოფაცხოვრებო პირობებით და შექმნილი დემოგრაფიული სიტუაციით.

**ალექსი მიქელაძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

(დასასრული იქნება)



◉ ინფორმაცია

## ხელმძღვანელებს აშანტაჟებენ

**წამყვანი კლინიკების ხელმძღვანელებს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეებისა და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით უცნობი პირები აშანტაჟებენ.**

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილემ ვახტანგ სურგულაძემ განუცხადა.**

**მისივე თქმით, რამდენიმე კლინიკის ხელმძღვანელმა მას აცნობა, რომ უკვე ერთი კვირაა, მისი და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეების, დავით მესხიშვილისა და ნიკოლოზ ფრუიძის სახელით უფასო ოპერაციების გაკეთებას, „მონოს“ გადარიცხვასა და სხვა მოთხოვნების შესრულებას უცნობი პირები ავალდებულებენ.**

**„არც ერთ ჩვენგანს მსგავსი მოთხოვნით კლინიკის ხელმძღვანელებისთვის არ მიუმართავს. ჩვენი სახელით აშკარად თაღლითები სარგებლობენ. ხელმძღვანელებს კი მინისტრის მოადგილეებთან ინფორმაციის გადამოწმება ერიდებათ“, – აღნიშნა სურგულაძემ.**

**მისი თქმით, უცნობი პირები, ხშირ შემთხვევაში, დაფარული ნომრიდან რეკავენ და მათი იდენტიფიკაცია შეუძლებელია.**

## ლეიბორისტები მოითხოვენ

**„ლეიბორისტული პარტია“ ქვეყანაში საგანგებო ენერგეტიკული მდგომარეობის გამოცხადებას მოითხოვს და აღნიშნავს, რომ ხელისუფლებას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ განაცხადა, უნდა შეიქმნას „ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსვლის ფონდი“, რომელშიც აკუმულირდება თანხები ენერგომატარებლების შესაძენად.**

**„უნდა შევიძინოთ ნავთი, შეშა, სხვა ალტერნატიული ენერგორესურსები, რომელიც კრიზისის დროს, ზამთარში ხალხს უფასოდ დაურიგდება. ზამთარი სიბნელით, სიცივით, შიმშილით და მრავალი სხვა უბედურებით გვემუქრება. ეს კი უპირველესად, ხელისუფლების დამსახურებაა“, – განაცხადა გუგავამ.**

**მისივე განმარტებით, თუ ხელისუფლება აღნიშნულ მოთხოვნას არ შეასრულებს, სიბნელე და სიცივე გველის და შესაბამისად, ხალხის რეაქცია საკმაოდ მწვავე იქნება.**

**„ფონდის შექმნას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოსახლეობისთვის, რადგანაც რუსეთთან ურთიერთობები ვერ დალაგდა. დეკემბერი ახლოვდება, პირველი დეკემბერი კი „გაზპრომთან“ ხელშეკრულების დადების ბოლო ვადაა. ირანთან მიმართებაში მოლაპარაკებები შეჩერდა იმ ცნობილი პოზიციის გამო, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია. აზერბაიჯანიდან გაზის მინიმალური მოწოდება კი არსებულ მოთხოვნილებას ვერ უზრუნველყოფს“, – აცხადებს გუგავა.**

**აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯონ ტეფტმა 27 ნოემბერს, გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამერიკა საქართველოს ირანთან გრძელვადიან თანამშრომლობას არ ურჩევს.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

# პრობლემა

- ხიდები მარტო ქალაქის საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი ელემენტები კი არა, არქიტექტურული მშვენებაც არის, რომლებიც თბილისს განუმეორებელ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ იერსა და ხიბლს ანიჭებენ
- პენსიონერმა ქალბატონმა ბრძანა, მადლობა ხელისუფლებას, ლამპიონები რომ გაგვინათა, მათი შუქი ანათებს ჩემს ჩაბნელებულ სახლსო



◎ აუცილებლობა

## „ავადმყოფი" ხიდები

***როგორც კი რომელიმე დამპყრობელი მორიგი ქვეყნის დალაშქვრას დააპირებდა, უწინარესად, ჯაშუშებს შეგზავნიდა ხოლმე, რომლებსაც ჯარის რიცხოვნობის, შეიარაღების, სხვა სამხედრო მონაცემთა შეგროვების გარდა, გზებისა და საკომუნიკაციო საშუალებების, მათ შორის, ხიდების შესახებ უნდა მოეპოვებინათ მონაცემები. ცნობილია გამოთქმა „ყველა ხიდის დაწვა", რაც უკან მოუხედაობის, ერთხელ და სამუდამოდ მიღებული გადაწყვეტილების უტყუარი ნიშანია. ამდენად, ხიდები, თავისთავად, კაცთა შორის ურთიერთობის საწინდარი და ერთ-ერთი უპირველესი საშუალებაა.***

თბილისში, ისევე, როგორც სხვა დასახლებულ ადგილებში, სადაც მდინარეები ჩამოდის, მრავალი ძველი და ახალი ხიდია, რომლებიც, როგორც ქალაქის მეურნეობის სხვა არანაკლები მნიშვნელობის კომპონენტი, გამუდმებულ მოვლა-პატრონობას, მიხედვას საჭიროებს. ამასთან, ხიდები მარტო ქალაქის საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი ელემენტები კი არა, არქიტექტურული მშვენებაც არის, რომლებიც თბილისს განუმეორებელ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ იერსა და ხიბლს ანიჭებენ.

თბილისის ხიდებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, კერძოდ, რამდენიმეთაღოვანი, მათ შორის 1935 წელს აგებული თამარ მეფის სახელობის (ყოფილი ჩელუსკინელების) ხიდი. ვიდრე ის აშენდებოდა, ვაკისა და საბურთალოს რაიონები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე სარკინიგზო სადგურს ვერის აღმართით უკავშირდებოდა. ამ ხიდის ავტორები გახლავან პროფესორი კ. ზავრიევი, ასევე ინჟინრები ნ. სლოვინსკი და ა. პატალეევი.

ჩვენი დედაქალაქის თაღოვანი ხიდების კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობაა ყოფილი ვორონცოვის (ანუ დიდი თავადის მიხეილის), ამჟამად თბილისის დაძმობილებული გერმანიის ქალაქ საარბრიუკენის სახელობის ხიდი, რომელიც 1851 წელს არის აგებული და თავისი დროის ერთ-ერთი პროგრესული საინჟინრო სიახლე გახლდათ. მისი ერთგვარი ორგანული გაგრძელებაა ეგრეთ წოდებული „მშრალი ხიდი", უწინ მტკვრის ერთ-ერთ განშტოებაზე რომ იყო გადებული, რომელიც შემდგომ ამოავსეს და იმ ადგილას სანაპირო გაიყვანეს. ამ პატარა ხიდის სახელწოდებაც სწორედ აქედან მოდის.



შესავალი სიტყვა, ალბათ, ცოტა გამიგრძელდა, ვინაიდან წინამდებარე წერილის მიზანია არა თბილისის ხიდების მიმოხილვა, არამედ მათი სადღეისო მდგომარეობის გარკვევა. ეს კი ნამდვილად არ გახლავთ სახარბიელო, მაგრამ ზოგიერთი მათგანის შესახებ თუნდაც ორიოდე სიტყვა არ მეთქვა, ვფიქრობ, არ ივარგებდა.

— ხიდების მდგომარეობის კონტროლი და, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარება ნებისმიერი ქალაქის, მათ შორის, ცხადია, თბილისის შესაბამისი სამსახურების უპირველესი ამოცანაა, — ამბობს **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდებისა და გვირაბების კათედრის დოცენტი იური სლოვინსკი**. — ამჟამად კი დედაქალაქის მრავალრიცხოვანი ხიდებიდან სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს ბარათაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდები.

იური სლოვინსკის თქმით, 1908-11 წლებში აგებული ბარათაშვილის ხიდი, რომელიც ბოლო დროს ასე დამშვენდა, მოზღვავებულ სატრანსპორტო ნაკადს უკვე გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ვეღარ აუდიოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ძველი ლითონის თაღოვანი ხიდი 1966 წელს პროფესორ კ. კვიცარიძისა და არქიტექტორების შ. ყავლაშვილისა და ვ. ქურთიშვილის მიერ დამუშავებული ხიდით შეცვალეს. სამწუხაროდ, აქვე უნდა აღინიშნოს, სულ რაღაც 40 წლის ექსპლოატაციის შემდეგ **ბარათაშვილის სახელობის ხიდს სადღეისოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი დეფექტი აქვს, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ასფალტის საფარის სისქის ზრდა, რაც მნიშვნელოვნად ამძიმებს მის კონსტრუქციას და საგრძნობლად აუარესებს ჰიდროიზოლაციას. შედეგად, ფაქტობრივად, მწყობრიდანაა გამოსული ხიდის სადრენაჟო სისტემა, ხოლო კოჭების განაპირა უბნებში დახრილი ბზარები გაჩნდა.**

ინჟინრების ი. კოშკაძისა და გ. ბრეგვაძის პროექტით აგებული ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდი ბარათაშვილის ხიდზე ცოტათი „ახალგაზრდაა", თუმცა, მიუხედავად ამისა, ამჟამად მასაც მთელი რიგი დეფექტები გაუჩნდა, რაც სასწრაფო სარემონტო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს.

ბატონ იური სლოვინსკის მიაჩნია, რომ **აღნიშნულ სამუშაოთა ჩატარების აუცილებლობა იმითაც არის გამოწვეული, რომ 1988 წლის ცნობილი სპიტაკის მიწისძვრის შემდგომ, თბილისის რეგიონის სეისმურობა (12-ბალიანი შკალით), შვიდიდან რვა ბალამდე აწიეს, რაც, თავის მხრივ, დედაქალაქის ყველა რთული საინჟინრო ნაგებობის ძირეულ შესწავლას მოითხოვს.**

— სხვადასხვა ტექნიკური დეტალებით რომ არ გადაგღალოთ, მინდა შეგახსენოთ ბოლო დროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევები, რომლებიც რთული საინჟინრო ნაგებობების ან აგებისას დაშვებული შეცდომების, ანდა ექსპლუატაციაზე არასრულფასოვანი საინჟინრო-საზედამხედველოსა და აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩაუტარებლობით მოხდა, — აღნიშნა ბატონმა სლოვინსკიმ. — **თბილისელები მინდა დავამშვიდო და ვუთხრა, რომ არც ბარათაშვილის და არც ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდებზე კატასტროფა — უახლოეს მომავალში მაინც — მოსალოდნელი არ არის, თუმცა დედაქალაქში არის რამდენიმე ხიდი, რომელთა სერიოზული დაზიანება ახლო პერსპექტივაში სავსებით შესაძლებელია** (კერძოდ, 1985 წელს აგებული კოჭებიან-ვანტური ხიდი მდინარე ვერეზე, რომელიც ფეხით მოსიარულეთათვის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საცხოვრებელი ზონისთვის — სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისთვის — განკუთვნილი საინჟინრო კომუნიკაციებისთვისაა გამიზნული, კიდევ ერთი მცირე ხიდი დილმის მასივში და სხვ.), თუმცა მათზე სათანადო საინჟინრო დაკვირვება მეტ-ნაკლები რეგულარობით მიმდინარეობს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენ, კერძოდ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდებისა და გვირაბების კათედრის, ასევე ხიდების ზედამხედველობისა და მოვლის საქალაქო სამსახურის, კიდევ სხვა სპეციალისტები, ხიდების მდგომარეობას კი ვაკვირდებით, მაგრამ ამ საქმეს, ისევე, როგორც მრავალ სხვას, სათანადო დაფინანსება სჭირდება. სპეციალისტები, რომლებიც ჯერ კიდევ შემოვრჩით ჩვენს საქმიანობას, საამისოდ საკმაოდ მოკრძალებულ სახსრებს ვითხოვთ დედაქალაქის მერიისგან, თუმცა შედეგი, ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ, ფაქტობრივად, ნულის ტოლია.

არადა, საქმე ნამდვილად საშურია და დღეს გასაკეთებლის მაზეგისთვის გადადება, მერწმუნეთ, ნამდვილად არ ღირს.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ გლობუსი

## ლამპიონის შუქით

**ჩვეული ცეკვა-თამაშით, უცხო ქვეყნის პრეზიდენტების ვიზიტით და ქუჩების ერთკვირიანი გადაკეტვით შეწუხებულ მგზავრთა და მძღოლთა ძარღვიანი რეპლიკების ფონზე ჩაიარა ახალი ეროვნული დღესასწაულის, „ვარდების რევოლუციის" მესამე წლისთავმა.**

ისტორიისთვის სამი წელი წამიერი გაელვებაც არ არის, მაგრამ თითოეული ადამიანისთვის დიდი, ძალიან დიდი დროა. წუთისოფელი რომ ვიდეო ან აუდიო მაგნიტოფონივით იყოს აწყობილი, განვლილი ცხოვრების „რევერსიც" იქნებოდა შესაძლებელი და სათანადო ცვლილებების შეტანაც. რამდენი ცვლილება შევიდოდა ჩვენს ცხოვრებაში? ზოგი ამბობს, რომ ბევრი არაფერი, ვინაიდან ყოჩმიჩვეული ხალხის უსუსურობის განცდა წულს უტოლდება. ის ყოველთვის შეეცდება ყოჩს, ბელადს, წინამძღოლს გადააბრალოს თავისი შეცდომები. ასე იყო კომუნისტური რეჟიმის, გამსახურდიას ხელისუფლების, შევარდნაძის „მეორედ მოსვლის" დროს. ასეა დღესაც, ქვეყანაში მხოლოდ ერთს აქვს ჭკუა-გონება, მხოლოდ ის არის წვრილმან-მსხვილმანი საკითხის გადამწყვეტი.

რაც მართალია — მართალია: განვლილი სამი წლის მანძილზე იმდენი შადრევანი და საქანელა გაკეთდა, იმდენი სახლი შეფერადდა, იმდენი უფასო სასადილო გაიხსნა, იმდენი ასფალტი დაიგო და დაგებული დაინგრა, იმდენი საჯარო სამსახური გაუქმდა, ხოლო გადარჩენილ თითო-ოროლა სამინისტროში იმდენი შემცირება განხორციელდა და აქიდან გამომდინარე, იმდენი ჯან-ღონით სავსე პროფესიონალი შეუერთდა ისედაც დიდი რაოდენობის უპენსიო პენსიონერებს, რომ მსგავსი რამ არ მომხდარა მრავალი წლის განმავლობაში. ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები იმდენად მოულოდნელი, უჩვეულო და მძიმეა, რომ სამი წელი საუკუნედ გეჩვენება.

კარდინალურად შეიცვალა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი მიდგომა. შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ფასეულობებისადმი. და როდესაც თავბრუდამხვევი რეფორმების ჟამს, ავადსახსენებელი ყოფილი ხელისუფლების პერიოდს სინანულით იხსენებენ, ჩანს, რაღაცაშია საქმე. 1988 წლიდან დაწყებული ქვეყნის ბედის ბორბალი ისე აცა-ბაცად ტრიალებს, რომ უკეთესის მოლოდინში რას ვილებთ, მკითხველმა კარგად იცის.

დღესასწაულის დღეებში რადიო „იმედის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვას, თუ რა მოუტანა ხალხს რევოლუციამ, ერთმა პენსიონერმა ქალბატონმა ასე უპასუხა, დიდი მადლობა ხელისუფლებს ქუჩაში ლამპიონის განათებისათვისო, ლამპიონის შუქი ბინას გვინათებს, თორემ სიბნელეში მოგვიწევდა ყოფნაო. ქალბატონმა ისიც თქვა, მიზერული პენსიით შუქის და გაზის გადასახადის გადახდა და ამასთანავე თავის გამოკვება შეუძლებელიაო.

მეცნიერების მტკიცებით, ნოემბერი საქართველოში ცივი და რევოლუციისათვის შეუფერებელი დროა, თუმცა გამონაკლისიც არსებობს „ვარდების რევოლუციის" სახით. მიუხედავად ამ გამონაკლისისა, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ზამთრის დადგომით შეშინებული მოსახლეობის რევოლუციური შემართება გათბობის პრობლემებით იფარგლება. საქართველოს ელექტრონული მედია, რომელიც სახელისუფლებო ოპტიმისტურ განწყობასთან ერთად, ხანდახან პესიმისტური სინამდვილის ამსახველ სიუჟეტსაც გამოურევს, გვატყობინებს, რომ ზაფხულში, დიდი ზარ-ზეიმით გარემონტებული სკოლები გათბობის სისტემით არ არის უზრუნველყოფილი და მოსწავლეები იყინებიანო. როგორც ჩანს, ცხელ ზაფხულში ცივი ზამთრის წარმოდგენა ძნელი საქმეა. ოპტიმისტურად განწყობილი განათლების სამინისტრო იხტიბარს არ იტეხს და რიხიანად აცხადებს, წინათ შემუშავებული მეთოდით გავათბობთო. წინა წლების მეთოდი — შეშის ღუმელია.

ზამთრის დადგომა ხელისუფლებასაც დაეტყო, რაც ძირითადად თეირან-ბაქო-ანკარაში მოგზაურობებით აღინიშნა. საზღვარგარეთ მოგზაურობები ხალხის რჩეულებს და მათ რჩეულ მთავრობას რომ ჭარბად აქვთ, ამას მტკიცება არ სჭირდება. დედამიწის ზურგზე ნაკლებად მოიძებნება მსგავსი მოძრავი ხელისუფლება. იმ თანხებით, რასაც ისინი მოგზაურობებში ხარჯავენ, სრულიად შესაძლებელი იქნებოდა თუნდაც გაძვირებული რუსული გაზის შეძენა.

ბოლოდროინდელი დაფაცურება მთლად ხელისუფლების ბრალიც არ არის. კი უყვართ მოგზაურობა, მაგრამ ხანდახან სახლში სულის მოთქმაც ხომ უნდათ. ვინ დააცალა. მაინც რა არიან ეს აბეზარი ჟურნალისტები. სამთვეზემეტია თუთიყუშებივით კითხულობენ ერთსა და იგივეს — იქნება გაზი თუ არა. იმუნიტეტგამომუშავებული ხელისუფლებაც ისე დაჯერებით უპასუხებს იქნებაო, თითქოს გაზი საწერი მაგიდის უჯრაში ჰქონდეს.

ჟურნალისტებსა და ხელისუფლებას შორის გამართული მორიგი მონოტონური კითხვა-პასუხის რაუნდი ერთობ უხერხულმა კითხვამ დაარღვია, რამდენად მართალია, რომ აზერბაიჯანი გაზს ვერ მოგვაწვდისო. უზომოდ „ინფორმირებულმა" სახელმწიფო მინისტრმა „როიტერის" ცნობა ჭორად და ხუმრობად ჩათვალა, ხოლო დაბნეულმა ენერგეტიკის მინისტრმა უმწეოდ აიჩეჩა მხრები. ორი დღე გრძელდებოდა იმის დადგენა, თუ რამდენად ვუყვარვართ აზერბაიჯანს და ბოლოს, როგორც იქნა, გაირკვა, რომ აზერბაიჯანს კი ვუყვარვართ, მაგრამ რუსეთს შეუმცირებია მისთვის გაზის მიწოდება, აზერბაიჯანსაც რაღა ექნა და აამოქმედა ჯერ თავო და თავოს პრინციპი. აქაც ეს რუსები, მათი მზაკვრული ნამოქმედარი ყოველდღე წინ გვხვდება!

ენერგეტიკული საკითხები არც ისეთი პრიმიტიულია, როგორც მავანს ჰგონია. ენერგეტიკული რესურსების მქონე ქვეყნებთან მოლაპარაკებათა ციკლი და ხელშეკრულებათა გაფორმება გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე კარსმომდგარი ზამთარი. ყველასთვის ნათელი იყო, რომ რუსეთი გაზის ფასებს გაგვიზრდიდა. ისიც ცნობილი იყო, რომ ირანული გაზი რუსულზე ძვირი იყო. ასეთ დროს რა ალტერნატივებზეა ლაპარაკი?

ენერგეტიკული საკითხები მსოფლიოს ქვეყნებისთვის უსერიოზულესი პრობლემაა და ამსაქმეში პრიორიტეტულიც ის არის, ვისაც ენერგორესურსები აქვს. გსიამოვნებს თუ არა, მსოფლიოში ნავთობისა და გაზის მარაგით რუსეთი პირველია. ენერგეტიკული გიგანტი, რომელიც წინათ, ენერგოდოლარებზე მეტად ყურადღებას პოლიტიკას აქცევდა, დღეს შებრუნებით მოქმედებს. ვინაიდან ხედავს, რომ მისთვის სასურველი პოლიტიკის განხორციელება ეკონომიკური გზით გაცილებით ადვილი მისაღწევია. რუსეთის მიერ გაზის ფასების გაძვირება ლოიალურად განწყობილი მეზობლებისათვის ამის მაუწყებელია.



გაზის ფასების აწევით უკმაყოფილებას გამოთქვამს ბელორუსიაც, თუმცა, როგორც ჩანს, რუსეთის პოზიცია არცთუ უსაფუძვლოა. წლების განმავლობაში რუსეთი უფრო მეტ გაზს აწვდის ბელორუსიას... ვიდრე მას სჭირდება. თანხაც მიზერულია — 46 აშშ დოლარი. მიღებულ გაზს ბელორუსია... ევროპაში ჰყიდის საბაზრო ფასებში. წლიური შემოსავალი 6 მილიარდი დოლარია. რუსეთს აღარ სურს ასეთი საჩუქრის გაცემა. მინსკში გამართულ დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სამიტზე, სხვა

- **ვერასგზით ვერ დავიჯერებ, რომ ამას ქართული ეკლესიის მოძულე რედაქტორის და ევანგელისტური ეკლესიის პასტორის ენა-პირით თვით მამაზეციერი გველაპარაკებოდეს**
- **ჩვენი ხელისუფლება ისეთ საკითხებს უყენებს რუსეთს, მათ შორის ფსოუსა და როკთან ქართული საბაჟოს გახსნას, რაც ასეთ ვითარებაში განუხორციელებელი ოცნებაა.**



◎ გუშინდელი ფოსტიდან

# ლადარიული ლათაიური,

## ანუ ვისი არჩევანია ანტიმართლმადიდებლური „არჩევანი“

**დღეს იმდენი ჟურნალი და გაზეთი გამოდის საქართველოში, თვალის მიდევნება ნამდვილად შეუძლებელია. ჟურნალი „არჩევანიც“ (მთავარი რედაქტორი ნოდარ ლადარიაძ ამ დღეებში სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში (ნეტავ, არც ჩამვარდნოდა და არც გადამეშალაძ.**

**„არჩევანს“, როგორც ჟურნალის თავფურცელი გვაუწყებს, გამოსცემს და აფინანსებს ჰოლანდიური ფონდი „კორდეიდი“ (რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრი ყოფილაძ.**

როგორც ჟურნალის ამ აგვისტო-სექტემბრის გაერთიანებული ნომრიდან ჩანს (№ 5-6ძ, აქ თავმოყრილია ყველაფერი, რაც კი თავლაფს ასხამს ჩვენს ეკლესიას, ჩვენს მართლმადიდებლობას, ჩვენს აწინდელ საზოგადოებას, რომელსაც თურმე მარტო დღეს კი არა აქვს **„რაიმე შემკვრელი ღირებულებები“**, არამედ **„გავიხსენოთ, რომ ტერმინი „საზოგადოება“ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მოიგონა ილია ჭავჭავაძემ – იქამდე კი, ალბათ, არც ის რეალობა არსებობდა, რომელსაც ეს ტერმინი აღწერს“** (თქვენ წარმოიდგინეთ, რა ეწერება წინა ოთხ ნომერში და რა დაიბეჭდება ჟურნალის მომდევნო ნომრებში?ძ.

ჩვენ კი ვდგავართ და სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა გვაქვსო, გავყვირით... არადა აგერ, ჯერ კიდევ გუშინ თურმე საზოგადოებაც კი არ ვყოფილვართ...

ჟურნალის „გაევროპელებულ“ მთავარ რედაქტორთან საუბარში „თავისუფლების ინსტიტუტის“ თავმჯდომარეს ანეკდოტიც აგონდება მოუხელთებელ ჯოზე: **„რატომაა ჯო მოუხელთებელი? – იმიტომ რომ არავის სჭირდება. იგივე დამოკიდებულებაა სახელმწიფოს მხრიდან საპატრიარქოსადმი: არავის ჰგონია, რომ მისი მხრიდან სერიოზული საფრთხე გვემუქრება“**. მოდი და გაიგე, რა საფრთხეს გულისხმობენ ჩვენი პატივცემული რედაქტორი და თავმჯდომარე (ისე, კაცმა რომ თქვას, ნამდვილად საკითხავია, თვითონ ეს ეგრეთ წოდებული „თავისუფლების ინსტიტუტი“ ვის სჭირდება ან რა ინსტიტუტია საერთოდ?! ვინ დააარსა და ვის წარმოადგენს, რა დანიშნულება აქვს?!ძ.

და „არჩევანი“ ჟურნალის მკითხველებს ვითომ საპოლემიკოდ (SIC!ძ სთავაზობს თავის დროზე ეკლესიიდან მოკვეთილი ერთ-ერთი გაავებული დეკანოზის ჯერ კიდევ 2001 წელს გამოქვეყნებულ მკრეხელურ წერილს – **„საქართველოს ეკლესია უფსკრულისაკენ მიექანება!“** სადაც ვკითხულობთ: **„საქართველოს ეკლესია ძალიან მალე გადაიქცევა ჩაკეტილ აგრესიულ სექტად და მისი ავტორიტეტი საერთოდ მოისპობა როგორც საქართველოს საზოგადოების, ასევე მსოფლიო ქრისტიანული საზოგადოების წინაშე. ჩვენმა კათალიკოს-პატრიარქმა ვერ ნახა დასაყრდენი ეკლესიაში. ამის მიზეზი კი მისი დამღუპველი საკადრო პოლიტიკაა. მაგალითისათვის ვნახოთ წმინდა სინოდის შემადგენლობა, რომელიც 26 ეპისკოპოსისაგან შედგება... 3-4 ნორმალური პიროვნების გამოკლებით, ქართველი ეპისკოპოსები არიან უკულტურო, გაუნათლებელი, ხეპრე, ამბიციური ან ფსიქიურად დაავადებული, პირმოთნე და სულით მონა ადამიანები, ან ორივე ერთად. ყოველგვარი ღვთისმეტყველება შორსაა მათგან... სად იპოვა ჩვენმა კათალიკოს-პატრიარქმა ეს ხალხი? რატომ აკურთხა ისინი ეპისკოპოსებად?..“**

### ჭირი დანახული ჯობს

ხუთი წლის წინათ დაწერილი ამ უნიჭო პასკვილის მიხედვით, საქართველოს ეკლესია უკვე უნდა გადაქცეულიყო ჩაკეტილ აგრესიულ სექტად და „მომსპარიყო“ როგორც ეკლესია. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, არც ჩაკეტილ აგრესიულ სექტად გადაქცეულა, არც „მომსპარა“ და არც უფსკრულში გადაჩეხილა. როგორც ჩანს, ამ ამბით გულნატკენმა ევროპულად გარეფორმატორებულმა რედაქტორმა ლადარიამ ამიტომაც გაიმეორა ევროპელთა მიერ საეჭვოდ დაფინანსებულ „არჩევანში“ ქართული ეკლესიიდან სამართლიანად მოკვეთილი დეკანოზის არა მარტო უწინდელი, არამედ, საერთოდ, ყავლგასული ნაავკაცარი. ისე, ამ ჩვენს გაბოროტებულ დეკანოზს სრული უფლება აქვს, რომ



თავისად მიიჩნიოს ერთი ძველი პოეტის სიტყვები: **„ზოგს სარჩო აქვს სახელადა, ზოგსა მკლავი მტერთ შემბმელად, მე კი ესე ჩხაბვა მიჩანს სახელად და საგონებლად“** (მოკვეთილი დეკანოზისგან განსხვავებით, პოეტი ბევრად უფრო თავმდაბალი ჩანსძ.

აქაოდა რედაქტორი ვარო, მიმდგარა ეს ჩვენი პატივცემული ევროპისკენ თვალწამზირებული ლადარია და თითქმის მთელი ჟურნალი თავისი ნაირ-ნაირი „ოპუსებით“ აუვსია.

აი, რამდენიმე ადგილი ევანგელისტური ეკლესიის პასტორის ლადარიასეული ინტერვიუდანაც:

**„რასაც ჩვენ ქართულ კულტურას ვუწოდებთ, სინამდვილეში შუასაუკუნეობრივი რელიქტია, რომელიც ხუთავს, განვითარების საშუალებას არ აძლევს ჩვენს ერს“.**

ანდა:

**„თუ დღეს ხალხი პრიმიტიულად ემსახურება ღმერთს, ამის მიზეზი ისევ და ისევ აბსოლუტური უცოდინარობაა. ეს უმეცრება საზოგადოების ყველა დონეზე ვლინდება“.**

შენ როგორ ფიქრობ, ძვირფასო მართლმადიდებელო მკითხველო, რასაც ჩვენ ქართულ კულტურას ვუწოდებთ, მართლა რელიქტია, ანუ, ქართული სიტყვებით თუ ვიტყვით, შორეული წარსულის, ძველი ეპოქების გადმონაშთია და მეტი არაფერი?! ნუთუ, მართლა პრიმიტიულად ემსახურები ღმერთს და ეს პრივიტივიზმი იმის შედეგია, რომ აბსოლუტურად უცოდინარი და უმეცარი ხარ?!

ვერასგზით ვერ დავიჯერებ, რომ ამას ქართული ეკლესიის მოძულე რედაქტორის და ევანგელისტური ეკლესიის პასტორის ენა-პირით თვით მამაზეციერი გველაპარაკებოდეს. მაშ, ამ ორ კაცს და კიდევ სხვებს (სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ისინი კარგა გვარიანად მომრავლდნენძ, ვინ მისცა იმის უფლება, რომ აგრერიგად „გვმოძღვრავდნენ“?!.

ვინ მისცა და, რა დიდი ლარი და ხაზი უნდა ამის გამოცნობას, ფონდ „კორდეიდის“ ფულებმა. ფულებს კი, როგორც ცნობილია, ტყუილად არავინ იძლევა. ცხადია, არც ჩვენი ამჟამინდელი მოყვარე ჰოლანდია...

**ქრისტეფორე ქრისტესიაშვილი,**
**მართლმადიდებელი ქართველი**

◎ გლობუსი

# განათებული ბინა

საკითხებთან ერთად, ენერგეტიკული საკითხიც განიხილეს. ღსთ-ს სამიტი ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. მასზე საუბარი სრული ინფორმაციის მიღების შემდეგ გაცილებით უპრიანი იქნება, ვიდრე დღეს, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას, რომ ეს ორგანიზაცია უსუსური და არაფრის შემძლე კია, მაგრამ იმის შესაძლებლობას მაინც იძლევა, რომ შეხვდე და გაესაუბრო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, ვისთანაც ბევრი რამ გაკავშირებს. ამ მარტივი ჭეშმარიტების გაგებისათვის სულაც არ იყო საჭირო სამი წელი.

ბელორუსიის უკმაყოფილება მონაგონია პოლონელების პრეტენზიებთან. გარდა იმისა, რომ პოლონეთს რუსეთთან ტრადიციული ისტორიული უთანხმოება აქვს, არსებობს პოლონეთის ხორცის რუსეთში ექსპორტის პრობლემაც. რუსეთმა ერთი წელია აკრძალა პოლონეთიდან ხორცის შეტანა, სანიტარიული თვალსაზრისით, პოლონეთიდან იმპორტირებული ხორცი არ ექვემდებარება სტანდარტებსო. ემბარგომ სერიოზული გავლენა იქონია პოლონეთის ეკონომიკაზე. რუსეთი აცხადებს, რომ მზად არის პოლონური ხორცის მიღებაზე, მაგრამ წინააღმდეგია პოლონეთის გავლით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის არასტანდარტული ხორცის იმპორტისა.

პოლონეთი უკმაყოფილებას გამოთქვამს მისი გვერდის ავლით, ბალტიის ზღვით რუსეთ-გერმანიის პირდაპირი გაზსადენის მშენებლობაზე. ხორცის იმპორტზე ემბარგოს დაწესებამ და სხვა ძველმა და ახალმა საკამათო საკითხებმა უბიძგეს პოლონეთს ჩაეშალა ევროკავშირ-რუსეთს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება. მკითხველისთვის ცნობილია, რომ 26 ნოემბერს ფინეთში გაიმართა ევროკავშირ-რუსეთის მორიგი შეხვედრა, რომლის დროს ხელი უნდა მოეწერათ სტრატეგიული თანამშრომლობის ოქმისთვის, მაგრამ ნაცვლად ამისა, გაიმართა სხვადასხვა საკითხზე აზრთა ურთიერთგაზიარება. ძირითადი სასაუბრო თემები გაზის ქარტიის რუსეთის მიერ რატიფიკაცია, ირან-ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამები, ახლო აღმოსავლეთის საკითხები იყო. პოლონეთის სიჯიუტეს ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოები უარყოფითად შეხვდნენ. ევროკავშირის ხელმძღვანელმა ბაროზუმ აღნიშნა, რომ შემდგომი შეხვედრის დროს პოლონეთის პრობლემა დაძლეული იქნება.

ჰელსინკის სამიტამდე რუსეთმა კარგად იცოდა, რომ პოლონეთის გამო არ შედგებოდა მნიშვნელოვან დოკუმენტზე ხელის მოწერა, მაგრამ დიპლომატია სწორედ ის არის, როდესაც შანსს ხელიდან არ გაუშვებ საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირს უფრო მეტად ესაჭიროება სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტის გაფორმება, ვიდრე რუსეთს, რომელსაც საკმაოდ მჭიდრო ორმხრივი კავშირები აქვს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. თვით პოლონეთთანაც წარმატებული ეკონომიკური ურთიერთობებია. ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვამ გასულ წელს 12 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. რუსეთი პოლონეთს 70 პროცენტით ამარაგებს გაზით და 50 პროცენტით – ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით.

მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი ევროკავშირის ახალი წევრია, მისი როლი ამ ორგანიზაციაში არცთუ უმნიშვნელოა. პოლონეთის მოდერნიზებული მრეწველობა მნიშვნელოვანი პოტენციალის მატარებელია. უცხოური ინვესტიციების დაბანდების თვალსაზრისით, პოლონეთი მომხიბვლელი ქვეყანაა. გარდა ამისა, პოლონეთს მჭიდრო ურთიერთობები აქვს აშშ-თან. ეს ის ქვეყანაა, რომელსაც ვაშინგტონი იყენებს ევროკავშირში ვითარების თავის სასარგებლოდ დაბალანსებისთვის. პოლონეთი ევროკავშირში ვაშინგტონის თვალი და ყურია. პოლონეთი მნიშვნელოვანი ბერკეტია ევროკავშირ-რუსეთს შორის კულუარული მჭიდრო გარიგების ჩამოყალიბების საწინააღმდეგოდ. ვარშავა მუყაით მოსწავლესავით ასრულებს ვაშინგტონის დავალებებს, მათ შორის – პოსტსაბჭოურ სივრცეში ე.წ. ფერად-ყვავილოვანი რევოლუციების მხარდაჭერას. ვარშავა განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავს ბელორუსიის ოპოზიციის მიმართ. პოლონეთი მხარს უჭერს ვაშინგტონის წინადადებას ევროპაში, კერძოდ, საკუთარ ტერიტორიაზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგების თაობაზე.

„ვარდების რევოლუციის“ ზეიმს პოლონეთის პრეზიდენტიც დაამშვენებდა, რომ არა პოლონელ მაღაროელთა დაღუპვა. პოლონეთ-საქართველოს და საქართველო-ბალტიისპირა ქვეყნების მეგობრობა რუსეთის სიძულვილზე გადის. ამ პრინციპზე აშენებული მეგობრობის საძირკველი ნაკლებად მყარია. ამ კავშირებს დიდის რუდუნებით განიხილავენ ვაშინგტონში. მსოფლიო პირველობიდან გამომდინარე, აშშ განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება რუსეთის ეკონომიკურ-სამხედრო გაძლიერების საკითხებს. ვაშინგტონი სრული ძალით მოქმედებს რუსეთის ენერგეტიკული სიძლიერისთვის შესაფერისი ბერკეტის გამოსაგონად. ასე იყო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ეს საკითხი მხოლოდ მაშინ გადაწყდა, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა აშშ-ს სახელმწიფომდივანთან რაისთან სატელეფონო საუბრისას კატეგორიულად აღნიშნა, რომ თუ 2 ქვეყნის დელეგაციის შეხვედრა უშედეგოდ დასრულდებოდა, რუსეთი შეწყვეტდა ორგანიზაციაში შესვლის პროცედურების განხორციელებას. პუტინის კატეგორიულმა ტონმა გაჭრა. დაიძლია ბარიერებიც: ამერიკელთა მხრიდან, რუსეთში ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და რუსეთის მხრიდან – აშშ-დან რუსეთში შესატანი ხორცის სანიტარიული შემოწმება. აქაც ისე, როგორც ევროკავშირში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია უფრო დაინტერესებულია რუსეთის წევრობით, ვიდრე თვით რუსეთი. ამ ქვეყნის გაწევრიანებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსი ეკონომისტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ქვეყანა უფრო მეტს დაკარგავს, ვიდრე მოიგებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიაციაში შესვლით. რუსეთის გაწევრიანებას კატეგორიულად მოითხოვენ ამერიკელი ბიზნესმენები. აშშ-ს 13-მა უმსხვილესმა კომპანიამ, მათ შორის ისეთებმაც, როგორებიცაა „შელი“, „ბოინგი“ და „ფორდი“, წერილობით მიმართეს აშშ-ს პრეზიდენტს, დააჩქაროს ეს საკითხი.



აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, თუ როგორი იქნება საქართველოს პოზიცია. ჩვენი ხელისუფლება ისეთ საკითხებს უყენებს რუსეთს, მათ შორის ფსოუსა და როკთან ქართული საბაჟოს გახსნას, რაც ასეთ ვითარებაში განუხორციელებელი ოცნებაა. თუ როგორ დასრულდება თბილისი-მოსკოვის დავა, ბევრად არის დამოკიდებული ვაშინგტონზე. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ვაშინგტონის კარნახით საქართველომ მოხსნას პრეტენზიული მოთხოვნები.

ქართულ-რუსულმა თემამ და ნატოს გაფართოების საკითხმა, აგრეთვე ამ ორგანიზაციის როლმა XXI საუკუნეში, კიდევ ერთხელ გაიჟღერა რიგაში გამართულ ნატოს სამიტზე, რის შესახებაც შემდეგ სტატიაში მოგახსენებთ.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

**ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი საწარმოები. მხოლოდ ისინი თუ შეძლებენ ხალხის დასაქმებას და სილატაკის ორმოდან ქვეყნის ამოყვანას**



№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

ინფორმაცია

## სუბსიდირების საკითხი გაურკვეველია

ფინანსთა მინისტრის ლექსო ალექსიშვილის ინფორმაციით, გაზის ტარიფის ზრდის შემთხვევაში, უცნობია, რა მოცულობის სუბსიდირებას მოახდენს ცენტრალური ბიუჯეტი.

სუბსიდიების მოცულობა დამოკიდებულია გაზის ტარიფზე და შედეგებზე იმ მოლაპარაკებებისა, რაც მიმდინარეობს, განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა.

2006 წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებები შედის და ის, დაახლოებით, 50 მლნ. ლარით იზრდება, ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა განაცხადა.

ავსტრიის ვალის გასტუმრებასთან დაკავშირებით ბიუჯეტი 50,6 მლნ. ლარით იზრდება, ამას დაემატება აგრეთვე სხვადასხვა დონორების მხრიდან მიღებული გრანტები, რომელიც ბიუჯეტში უნდა აისახოს, — აცხადებს ალექსიშვილი.

ენგურჰესის რეაბილიტაციისათვის ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა დამატებით 10 მლნ. დოლარი გამოყო. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა განაცხადა.

ენგურჰესის რეაბილიტაციისათვის ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა დამატებით 10 მლნ. დოლარი გამოგვიყო, რაც ენგურჰესის დარჩენილი სამი ენერგობლოკის რეაბილიტაციასა და ჰესის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვაზე დაიხარჯება, — აცხადებს ფინანსთა მინისტრი.

წინა წლებში ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა „ენგურჰესის“ რეაბილიტაციისათვის საქართველოს 38 მლნ. დოლარი გამოუყო, საიდანაც დღეისათვის მხოლოდ 25 მლნ. დოლარია ათვისებული.

## რეგისტრაცია გამარტივდება

არაკომერციული (არასამეწარმეოძ იურიდიული პირების დაფუძნებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივებას ითვალისწინებს იუსტიციის სამინისტროში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი, რომელიც ამჟამად პარლამენტში იხილება.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების მიხედვით, მნიშვნელოვნად მარტივდება არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის პროცედურა — მინიმუმამდეა შემცირებული სარეგისტრაციოდ წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.

არსებული რთული პროცედურისაგან განსხვავებით, არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის საჭირო იქნება მხოლოდ სპეციალური სარეგისტრაციო განაცხადის შევსება. განაცხადის ფორმაში მიეთითება ის მონაცემები, რაც აუცილებელია არაკომერციული იურიდიული პირის იდენტიფიკაციისა და მისი სახელმწიფო რეესტრში ჩართვისათვის.

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია არასამეწარმეო იურიდიული პირის ორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა — კავშირი და ფონდი, რომელთა რეგისტრაციისათვის კანონი განსხვავებულ მოთხოვნებს აყენებს. ცვლილებათა პროექტში სარეგისტრაციო პროცედურის გამარტივებასთან ერთად, არასამეწარმეო იურიდიული პირების ასეთი დაყოფა სამართლებრივ დატვირთვას კარგავს.

ჯი-ეიჩ-ენი

საწარმო

*რატომ დაარქვეს „ტკბილი ქვეყანა“ იმ საწარმოს, რომელზეც უნდა მოგითხროთ, ამას მკითხველი ქვემოთ მიხვდება, მაგრამ იმას, რომ მწარე ყოფაში გვიხდება ცხოვრება, ალბათ მიხვედრა არ სჭირდება. ჩვენი ნაციონალი „მამები“ ტრაბახობენ, რომ დემოკრატია თავზე გადაგვდის და ეკონომიკაც ლომის ნაბიჯებით მიიწევს წინ, მაგრამ გაჭირვების რა ორმოშიც ვსხედვართ, ვერა ვხედავთ?*

*ამის შემყურე, ცოტა არ იყოს გაკვირვებული დავრჩი, როცა ამ ორიოდე დღის წინათ ნაძალადევში ერთ ნაქარხნალ ტერიტორიაზე აღმოვჩნდი. ამ ქარხანას ერთ დროს „თბილგაზოაპარატი“ ერქვა, მშვენიერ პროდუქციას უშვებდა და მომხმარებლებშიც ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ, ისევე როგორც ასობით სხვა საწარმომ, ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო, იმანაც ჯერ „ყურები ჩამოყარა“, მერე მთლად დადუმდა, არსებობა შეწყვიტა და ერთიანად გაპარტახდა — ეზო გაუდაბურდა, ხოლო შენობები ჩამოფხავ-ჩამოინგრა.*



# „ტკბილი ქვეყანა“ მწარე ყოფაში

ეს სურათი მახსოვდა. ახლა იერშეცვლილ გარემოს რომ შევხედე, ბუნებრივია, დავინტერესდი, ვიფიქრე, ნეტა რა ხდება-მეთქი და შიგნით შევიხედე. ის იყო ცხვირი შევყავი, რომ დაცვის მუშაკი გადამიდგა:

**— ვისთან მიდიხართ, ბატონო?**

— გვარს ვერ დაგისახელებთ, — ვუთხარი, — მაგრამ ჟურნალისტი ვარ და მინდა გავიგო, აქ ისევ გაზქურების გამოშვებას აპირებენ თუ სხვა რომელიმე ახალი საწარმო შეიქმნა?

**— რაღა დროს გაზქურებია,** — გაეღიმა, **— აი, ეზოში, მშენებლებს რომ ახალგაზრდა კაცი ესაუბრება, მასთან მიბრძანდით და ყველაფერს გეტყვით.**

— ალექსანდრე ქამუშაძე, შინაურები ალეკოს მეძახიან, — გამაცნო თავი დამხდურმა, — თანამდებობა თუ გაინტერესებთ, მაგასაც გეტყვით — სააქციო საზოგადოება „ანაჯგუფის“ კომერციული დირექტორი გახლავართ.



**— ეს რა ჯგუფია?**

— ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელიც სულ სამი კაცისგან შედგება. ერთი იმათგანი მე ვარ.

**— ამ ტერიტორიაზე როგორ აღმოჩნდით?**

— კანონიერების სრული დაცვით. 2005 წლის ივნისში „თბილგაზოაპარატის“ აქციონერებისგან შევისყიდეთ აქციები, შევქმენით ახალი სააქციო საზოგადოება, რომელსაც „ანაჯგუფი“ დავარქვით და მუშაობას შევუდექით.

**— მაგრადაც გიმუშავიათ,** — კმაყოფილება ვერ დავფარე, — **აქაურობა ისე იყო გაპარტახებული, ზედ არ შეიხედებოდა. ახლა კი, ვხედავ, ნაგებობები რემონტდება, თანაც ყველაფერი გვარიანად, თანამედროვე დონეზე კეთდება. როგორც ჩანს, ზოგი შენობა დაგინგრევიათ და თავიდან აგიშენებიათ.**

— მართალია, აი, იქ, მაგალითად, სადაც ახლა საკონდიტრო საწარმო გვაქვს გახსნილი, სამსართულიანი ნაგებობა იყო, მაგრამ უვარგისი. ერთი სართული მოვანგრიეთ, დარჩენილი ორი გადავაკეთეთ და მთლიანად გავაახლეთ, წამობრძანდით, თქვენი თვალით ნახეთ.

წავყევი. სასიამოვნო სანახავია იქაურობა, ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი და მომუშავე. ნამცხვრის საცხობი ქურები, სხვა დანადგარები თითქმის მთლიანად იტალიურია. ზოგი მათგანის ღირებულება 200 ათას ევროს აღემატება. აქ დღესდღეობით 100 დასახელების ნამცხვარი ცხვება, განსაკუთრებით გამორჩეულია „ზეფირი“, „თაფლაკვერი“, „დეკორი“, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიით შეიქმნა და მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს.

— ერთ ადგილზე არ ვჩერდებით, — ამბობს კომერციული დირექტორი, — ერთთავად ახალ-ახალი პროდუქციის შექმნაზე ვმუშაობთ. მალე მაღაზიებში გამოჩნდება ნამცხვარი „ოცნება“, რომელზეც მომხმარებელი ალბათ კარგა ხანია ოცნებობს.

**— პროდუქციის ჩაწოლისა არ გეშინიათ?**

— პირიქით, ბაზრის ბუნება ისეთია, სულ უფრო ახალსა და ახალ ნაწარმს ითხოვს. ამაში პირადად დავრწმუნდით, ყოველი ახალი ნამცხვრის გატანა ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციას დღიურად 100 კილოგრამით ზრდის.

**— თქვენც ზარდეთ და ზარდეთ წარმოება, რა გენაღვლებათ!**

— ასეც ვიქცევით. შარშან სექტემბერში დღიურად 500 კილოგრამ ნამცხვარს რომ ვუშვებდით, ახლა ეს ციფრი 4-5 ტონამდე გაიზარდა. მომავალ წელს, ალბათ, 15 ტონამდე ავალთ.

**— შესაბამისად, დასაქმებულთა რაოდენობაც გაიზრდება, არა?**

— რა თქმა უნდა, ახლა ჩვენთან წარმოებაში სამასი კაცია დასაქმებული, უახლოეს წელიწადნახევარში მათი რაოდენობა ათასამდე გაიზრდება.

**— თუ საიდუმლო არ არის, ანაზღაურება როგორია?**

— 200-დან — 1000 ლარის ფარგლებში მერყეობს, გააჩნია, საწარმოში ვინ, რა ოდენობის ღირებულებას ქმნის.

**— მუშებს ადგილზევე ამზადებთ?**

— კი. „ტკბილ ქვეყანაში“ ამ ტკბილი პროფესიის ათვისებას სულ რამდენიმე დღე სჭირდება. მარტო 58 კაცი „პრეზიდენტის პროგრამიდან“ მივიღეთ და ვამუშავებთ.

**— რა თქვით, „ტკბილი ქვეყანაო“?**

— დიახ. ამ საკონდიტრო საწარმოს, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, თავისი არსიდან გამომდინარე, შპს „ტკბილი ქვეყანა“ დავარქვით. სხვა ნაგებობებში სხვა პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები განლაგდება.

**— კარგია,** — მოვიწონე, **— მწარე ყოფაში გვიხდება ცხოვრება და საწარმო მაინც გვქონდეს ტკბილი. ვხედავ აქ მომუშავეებს სამუშაო პირობებიც „ტკბილი“ აქვთ.**

— როგორ გითხრათ, კვება უფასოა, დანადგარები — უახლესი, რომლებზეც მუშაობა სასიამოვნოა.

ბატონი ალეკო მათვალიერებინებს ქალთა და მამაკაცთა საგარდერობო ოთახებს, რომელთა გვერდით მუშაობს საშხაპეებიც. აქ მომუშავენი შხაპს იღებენ სამუშაოზე შესვლის წინაც და გამოსვლის შემდეგაც.

საწარმოს აქვს საკუთარი ლაბორატორია და მაცივარი (2 ათასი ტონის ტევადობისძ.

**— ამხელა მაცივარს რაში იყენებთ?** — დავინტერესდი.

— როგორ თუ რაში, ნედლეულს და პროდუქტებს ვინახავთ, ჩვენ ხომ არა მარტო მწარმოებლები, იმპორტიორებიც ვართ, ბრაზილიიდან შემოგვაქვს ქათამი, რუსეთიდან — ძეხვეული („მიქოიანი“ძ და სხვა სახის საქონელი. ბიზნესი რაც უფრო მრავალმხრივია, მით უფრო მომგებიანია. ასე რომ არ ვმუშაობდეთ, ამდენს კი ვერ შევძლებდით. „გაზოაპარატი“ რომ შევისყიდეთ, 780 ათასი ლარი სახელმწიფოს ვალი ჰქონდა. იქიდან 90 ათასიღა დაგვრჩა გასასტუმრებელი.

**— ნედლეული მთლიანად საზღვარგარეთიდან შემოგაქვთ?**

— საზღვარგარეთიდანაც შემოგვაქვს და ადგილობრივსაც ვიყენებთ. ფქვილს, მაგალითად, მხოლოდ და მხოლოდ ქართულსა ვხმარობთ. ვინც ქართულ ფქვილს იწუნებს, რომ ცდება, ეს ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობიდანაც ჩანს. ესეც არ იყოს, ჩვენ პრინციპულად პრიორიტეტს ადგილობრივ ნედლეულს ვანიჭებთ, რითაც ხელს ვუწყობთ ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებას.

**— და, ალბათ, საკუთარი წარმოებისაც. რუსეთიდან ფქვილის შემოტანა რომ შეჩერდა, ბუნებრივია, თქვენზე გავლენას ვერ მოახდენდა.**

— მართალი ბრძანდებით, ჩვენ ამ მხრივ შეფერხებები არა გვქონია და არც პროდუქციაზე ფასები გაგვიზრდია.

**— დღეს მეწარმეს მუშაობაში უამრავი სირთულე ელობება, მათ დაძლევაში მთავრობა თუ გეხმარებათ?**

— მთავრობის დახმარება არ გვჭირდება. იგი იმით გვეხმარება, რომ ჩვენს საქმეებში არ ერევა. ვალში არც ჩვენ ვრჩებით, ბიუჯეტთან პრობლემები არა გვქონია და არც გვექნება. ვმუშაობთ ღიად და გამჭვირვალედ. ამაში დარწმუნება შეუძლია ყველა რიგით მოქალაქეს, თუკი ჩვენი საწარმოს მუშაობით დაინტერესდება. მისი კარი ყველასთვის და ყოველთვის ღიაა.

საწარმოდან წამოსულმა, მისი პროდუქციის თაობაზე აზრის გამოთქმა მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა ეროვნული ასოციაციის ექსპერტებს **მზია ზიბზიბაძეს** და **ლია საღირაშვილს** ვთხოვე.

— ჩვენ არაერთგზის ვყოფილვართ მაგ საწარმოში, — განაცხადეს მათ, — თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებენ, რასაც, მეწარმეთა დიდ გარჯილობასთან ერთად, ხელს უწყობს იქ დანერგილი უახლესი ევროპული ტექნოლოგია. ასეთი ტექნოლოგიით აღჭურვილ მეორე საკონდიტრო საწარმოს ამიერკავკასიის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ რუსულ ორცხობილებს, რომელიც ძალიან მოსწონს მომხმარებელს, ამათი პროდუქცია სჯობს. სხვა რომ არაფერი, მარტო იმიტომ, რომ უცხოურ ნამცხვარს, ვარგისიანობის ვადა რომ გაუხანგრძლივდეს, კონსერვატებს ამატებენ, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს. ქართულ ნამცხვარს კი ეს არ სჭირდება, რადგან ის ახალ-ახალი მიდის მომხმარებელთან.

**ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი საწარმოები. მხოლოდ ისინი თუ შეძლებენ ხალხის დასაქმებას და სილატაკის ორმოდან ქვეყნის ამოყვანას.**

**ოთარ ხუციშვილი**

# დღის ამბები

● წარწერები წმინდა გიორგის მონუმენტზე ნაჩქარევად გაკეთდა, მისი მყარად დამაგრება ვერ მოესწრო და მას უახლოეს დღეებში აღადგენენ...

## წუთუ გაეროც თვალს ხუჭავს?

**გაერო გალის რაიონში ტრეფიკინგის ფაქტების შესახებ ინფორმაციას ფლობს, მაგრამ მათზე ვერ რეაგირებს. ამის შესახებ აფხაზეთის სახალხო დამცველ მურმან ჩხოტუას ინფორმაციაზე დაყრდნობით აფხაზეთის მედია-ცენტრიდან გვაცნობენ.**

როგორც აფხაზეთის მედიაცენტრი იტყობინება, ჩხოტუა აფხაზეთის ტერიტორიაზე ტრეფიკინგის ფაქტებს ადასტურებს და აცხადებს, რომ გალის რაიონში ტრეფიკინგის გახშირებული ფაქტების შესახებ იგი უახლოეს დღეებში გაეროს სპეციალური წერილით მიმართავს.

მისივე ინფორმაციით, ტრეფიკინგის ფაქტების გახშირება გალის რაიონში ციტრუსების აღების პერიოდის დადგომას უკავშირდება.

ომბუდსმენის განმარტებით, ტრეფიკინგის მსხვერპლთ გალში დარჩენილი ნათესავებისათვის საფრთხის შექმნის შიშით ამ ვითარების გაპროტესტების არავითარი საშუალება არა აქვთ და ისინი იძულებულნი არიან ამ განუკითხაობაზე დუმილი ამჯობინონ.



ჩხოტუას ინფორმაციით, გაეროს წარმომადგენლებისთვის გაგზავნილ წერილებში იგი გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის გალის ფილიალის გახსნას მუდმივად ითხოვს, მაგრამ აფხაზური მხარის კატეგორიული წინააღმდეგობის გამო, ქართული მხარის ეს მოთხოვნა დღემდე არ ხორციელდება.

## ლოურენს კოლონია უარყოფს

**აფხაზეთის გალის რაიონის შს სამმართველოს უფროსი ლოურენს კოლონია უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აფხაზეთში, კერძოდ კი გალის რაიონში მაცხოვრებელი ქართველი ეროვნების ახალგაზრდები აფხაზურ არმიაში სავალდებულო სამსახურის მოსახდელად ძალით მიჰყავთ.**

კოლონია ასევე აღნიშნავს, რომ **„აფხაზეთის მოქალაქეები, ეროვნებისდა მიუხედავად, ვალდებულნი არიან რესპუბლიკის კანონებს პატივი სცენ და აფხაზეთის წინაშე ვალი პირნათლად მოიხადონ“**.

კოლონია ასევე დასძენს, რომ გალის რეგიონის სოფლებში რამდენიმე ხნის წინათ მართლაც ჩატარდა საპასპორტო რეჟიმის შემმოწმებელი რეიდი, რომლის შედეგად დაპატიმრებული 25 ადამიანი მალევე გაათავისუფლეს.

## გადაჭარბებით შესრულდა

**ფინანსთა სამინისტრომ 11 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა, წინასწარ, 104-პროცენტიანი გადაჭარბებით შეასრულა.**

სახაზინო სამსახურის ოპერატიული მონაცემებით, იანვარ-ნოემბრის განმავლობაში პროგნოზით გათვალისწინებული იყო 3 044 127 000 ლარის მობილიზება, ხოლო შესრულებამ ამ დროისთვის 3 163 207 000 ლარი შეადგინა.

საგადასახადო შემოსავლების კუთხით გეგმა შესრულდა 104 პროცენტით. პროგნოზით გათვალისწინებული 2 221 203 000 ლარის ნაცვლად, შემოსავალი 2 302 945 000 ლარს შეადგენს.

არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით და წინასწარ დაგეგმილი 401 607 000 ლარის ნაცვლად მობილიზებულია 412 964 000 ლარი.

კაპიტალური შემოსავლების კუთხით, გეგმა 105 პროცენტით შესრულდა. განსაზღვრული იყო 329 037 000 ლარის მობილიზება, თუმცა ამ დროისთვის შემოსავალი 345 606 000 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება გრანტებს, ამ მხრივ გეგმა 110 პროცენტით შესრულდა. დაგეგმილი 92 280 000 ლარის ნაცვლად, მობილიზებულია 101 692 000 ლარი.

## აზერბაიჯანელები უკან დაბრუნებას ითხოვენ

**აზერბაიჯანელები, რომლებსაც 1991 წელს ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს საქართველოდან წასვლა მოუხდათ, უკან დაბრუნებას ითხოვენ. ამის შესახებ იუწყება აზერბაიჯანული ინტერნეტ-გამოცემა.**

საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის **განირა პასაევას** განცხადებით, იგი დევნილი აზერბაიჯანელების თხოვნას საქართველოს პარლამენტისთვის გადაცემას აპირებს.

**— პარლამენტი კი ამ თხოვნას საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გადასცემს**, — განაცხადა პასაევამ.

მისივე თქმით, საქართველოდან აზერბაიჯანელები, ძირითადად, ბოლნისისა და დმანისის რაიონებიდან გაასახლეს.

პასაევა ქართველი კოლეგებისთვის თურქი-მესხების თხოვნის გადაცემასაც აპირებს, რომელთა შესახებ საქართველომ რეპატრიაციის კანონი მიიღო.

## კოკოითი ახალ მთავრობას ირჩევს

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა მთავრობის გადაყენების შესახებ ბრძანებულებას ხელი მოაწერა.**

„როგორც ცნობილია, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით, ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, ძველი მთავრობა უნდა გადადგეს. 2006 წლის 20 დეკემბრამდე მთავრობის ძველ წევრებს უფლებამოსილება უნარჩუნდებათ, მანამდე კი მთავრობის ახალი შემადგენლობა დასახელდება“, — იუწყება ოსური მხარე.

გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის



პარლამენტის სხდომაზე მთავრობის ძველი თავმჯდომარის იური მოროზოვის კანდიდატურას კვლავ მთავრობის ახალი თავმჯდომარის პოსტზე წარადგენენ.



## წარწერები წმინდა გიორგის მონუმენტზე

**კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური წმინდა გიორგის მონუმენტზე გაკეთებული წარწერის აღდგენას უახლოეს დღეებში დაასრულებს.**

23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ მესამე წლისთავზე თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტზე ქართულ და ინგლისურ ენებზე წარწერა გაკეთდა. ხალხის სიმრავლის გამო, ლითონის წარწერები დაზიანდა.

როგორც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, წარწერები დღესასწაულისთვის ნაჩქარევად გაკეთდა, რის გამოც მისი მყარად დამაგრება ვერ მოესწრო.

## 3,7 მილიარდ ლარს გადააჭარბა

**საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები, ბოლო მონაცემებით, 3,7 მილიარდ ლარს აჭარბებს.**

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 19 კომერციული ბანკის მთლიანი აქტივები, 10 თვის მონაცემებით, 3 788 199 713 ლარს შეადგენს.

კომერციული ბანკების ნაღდი ფულადი სახსრები 187 157 715 ლარია, ხოლო ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე 658 301 875 ლარს აღწევს.

მთლიანი აქტივების მიხედვით ლიდერები კვლავ „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“ არიან. „თიბისი ბანკის“ აქტივები 910 150 797 ლარია, ხოლო „საქართველოს ბანკის“ — 910 837 329 ლარი.

## ცნობის წარდგენა აღარ მოუწევთ

**საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორობის კანდიდატობის მსურველებს ნასამართლობის ცნობის წარდგენა აღარ მოუწევთ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეს გადაწყვეტილება რეგისტრაციის პროცედურის გამარტივების მიზნით მიიღო.**

რეგისტრაციის პროცედურის დასრულების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კანდიდატობის მსურველთა ერთიან სიას შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნის, რომელიც მათი ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას გადაამოწმებს.

კანდიდატების რეგისტრაცია საგანმანათლებლო რესურსცენტრებში 5 დეკემბრამდე მიმდინარეობს.

დირექტორობის კანდიდატი გამოვლინდება ტესტირების და გასაუბრების შედეგად. საჯარო სკოლებში დირექტორების კანდიდატების წარდგენის შემდეგ დირექტორებს სამეურვეო საბჭოები აირჩევენ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

◎ **მიწისძვრა ჩვენ სულებში**

# „დედამ ქუჩაში გამომაგდო“...

**მართალია, რასაც ახლა წაიკითხავთ, ჩვენი მწარე რეალობაა, მაგრამ თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ მსგავსი შემთხვევები შედარებით ცოტაა, დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების ანარეკლია და შესაძლებლობისდა მიხედვით, ვებრძვით კიდეც ამ ერთეულ შემთხვევებს.**

თბილისის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი გლდანში, საკმაოდ დაცულ ორსართულიან შენობაში მდებარეობს.

ვესაუბრებით სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ძნელადაღსაზრდელებს.

**13 წლის რამინი:**

— ქალის „სუმკაში“ ვძვრებოდი და მაშინ დამიჭირეს. ახლა აქ ასის ფარგლებში თვლას ვსწავლობ და... ვერთობი. იმდენი ფული უნდა მოვიპარო, ბიზნესის ფაკულტეტზე ჩავაბარო...

**12 წლის სუსანა:**

—ჩემმა უფროსმა დამსახლიდან გამომაგდო, — ნერვებს მიშლი და ბავშვის მოვლაში (მას ორი წლის უმამო ბავშვი ჰყავსძ ვერ მეხმარებიო... სადგურთან ვჩალიჩობ, ხან ვაშლს მოვიპარავ, ხანაც — ბანანს. ღამეს სადარბაზოებში ვათენებ...

**14 წლის გიგა:**

— ფულის საშოვნელად დედამ ქუჩაში გამომაგდო. მეზობლებმა როცა ურჩიეს, ნუ იზამ ამას, ცოდოა, გაუბედურდებაო, იცით როგორ გაბრაზდა? — თქვენ ვინა გკითხავთ, შვილი ჩემია და რასაც მინდა იმას გავაკეთებინებო...

**16 წლის მარიეტა:**

— აქედან გუშინ გავიპარე, დღეს „კაიფის“ დროს დამიჭირეს. წებოს ყნოსვა ბოლომდე არ მაცალეს, თუმცა, ხვალ ან ზეგ ისევ გავიპარები და ჩემ ძმაკაცთან ერთად ბოლომდე დავკაიფდები...

**15 წლის მიშიკო:**

— მე ვმათხოვრობ, დედაჩემმა მდუღარე შემასხა სახეზე, რომ უფრო დავმახინჯებულიყავი და ხალხს შევცოდებოდი... არ მინდა მათხოვრობა, მაგრამ თავი რით ვირჩინო?..

ამ ბოლო ფაქტს ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის ხელმძღვანელობაც მიდასტურებს.

* * *

**ნარკომანები, ტოქსიკომანები, ქურდები, მეძავები, მათხოვრები — აი, ცენტრის ბავშვთა კონტინგენტი! — ღმერთო, დაგვიფარე, მაგრამ.... ქუჩაში მოგვიმრავლდნენ ასეთი მოზარდები... მათხოვრობა ერთგვარ მოდადაც იქცა.**

ადაპტაციის ცენტრის დირექტორი **ქეთევან კობალაძე** და მისი კოლეგები არ ეპუებიან სირთულეებს. აქ მაქსიმუმს აკეთებენ გაუბედურებული მოზარდების გამოსასწორებლად. ცოტა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ აქ მართლაც ყველა პირობაა შექმნილი ბედისგან დაჩაგრულ, „წყალწაღებულ“ ყმაწვილთა გამოსასწორებლად. გამართული სასწავლო-სამუშაო ოთახები, პროფილური სახელოსნოები (მოზარდთა პროფესიული გატაცებების მიხედვით), სუფთა, თბილი საძინებელი ოთახები, სამედიცინო ცენტრი, სასადილო... შარშან ცენტრის სახელოსნოებში დამზადებული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა მოაწყეს, შემოსული თანხა თვით მოზარდების სოციალური პრობლემების გადაწყვეტას მოახმარეს.



ასე განსაჯეთ, ახლახან რეჟისორიც კი მოიწვიეს და დიდი ინტერესით ემზადებიან საშობაო წარმოდგენისთვის.

ამიტომაც არის, რომ ადაპტაციის ცენტრში მოყვანილი მრავალი მოზარდი თავს ანებებს ქუჩას და ოჯახს უბრუნდება. ვისაც ოჯახი და მზრუნველი საერთოდ არა ჰყავს, მას ბავშთა სახლებს აბარებენ.

ძნელადაღსაზრდელთა საკმაო რაოდენობა, გასაგები მიზეზების გამო, ისევ ქუჩას ამჯობინებს და მაწანწალა ხდება — **„თუმცა მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“...**

**რას იზამ, ეს ნებისმიერი ქვეყნის პრობლემაა. ქუჩა მოულოდნელობებით არის სავსე. უნებისყოფო ყმაწვილს სწორედ ეს მოულოდნელობები იტაცებს...**

**მაია ზარანდია**

**პუტინი დაბნეულად ჭმუჭნიდა რაღაც ქაღალდს, ნაზარბაევს დანა პირს არ უხსნიდა, ლუკაშენკო კი აშკარად გაბრაზებული ჩანდა. ყველაზე ბოლოს დარბაზში შემოვარდა სააკაშვილი და ზედიზედ გადაკრა ორი ჭიქა წყალი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# დსთ-ს სამიტი სკანდალით დასრულდა

**ზოგჯერ, როცა ნოსტალგია მოგვეძალება, გვიჩნდება სურვილი, რომ ყოფილი სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკების პრეზიდენტების შეხვედრებს ვუწოდოთ „მეგობრული“... გვსურს, დავხუჭოთ თვალი „დსთ-ს კომუნალურ ბინაში“ ატეხილ უთანხმოებებსა და კამათზე. მაგრამ, რაც უფრო გადის დრო, სულ ნაკლებად გვიჩნდება ამის სურვილი...**

განსაკუთრებული ილუზიები არც მინსკში ჰქონია ვინმეს, სადაც მიმდინარეობდა თანამეგობრობის სამიტი. აქ ჩამოსული პრეზიდენტები პროფესიონალი-მოკრივეებივით იყვნენ განწყობილნი. ბელორუსიის დედაქალაქში ჩამოფრენისთანავე, მათ მიაშურეს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზს. სახეები ყველას გაქვავებოდა, თითოეული მათგანი ურთულესი ბრძოლისთვის ემზადებოდა. პუტინს კი ერთბაშად რამდენიმე „შერკინება“ ელოდა.

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ერთი მიზანი ამოძრავებდა – ან უნდა დაეყოლიებინა რუსეთი საქართველოსთვის გამოცხადებული ბლოკადის გაუქმებაზე, ან – მოეწყო მოსკოვისთვის მორიგი გრანდიოზული სკანდალი. და, მართალია, რუსეთის მხარე აცხადებდა, რომ არ ჰქონდა დაგეგმილი არანაირი შეხვედრა საქართველოს ლიდერთან, კრემლის სახელმწიფო მოხელემ მოდესტ კოლეროვმა, რომელიც აგებს პასუხს თანამეგობრობის ქვეყნებთან კავშირურთიერთობაზე, აშკარად უკმაყოფილებით შენიშნა, რომ სამიტზე, შესაძლოა, მაინც გადაიკვეთოს პრეზიდენტების გზები, რადგან სააკაშვილი ისეთი კაცია, რომ ყოველმხრივ ეცდება თავისი გაიტანოსო.

პუტინი კი გულმოდგინედ უსმენდა თავის უზბეკ კოლეგა ქარიმოვს. როგორც კი სააკაშვილი ჩნდებოდა პუტინის მხედველობის არეში, რუსეთის პრეზიდენტი მიუბრუნდებოდა ქარიმოვს და ცდილობდა თავისი ქართველი კოლეგისთვის აერიდებინა სახე.



მაგრამ, ამის გარდა, პუტინი კიდევ ორი ფრონტიდან უფრთხოდა შეტევას – ბელორუსია და უკრაინა. თითქოსდა დაუძინებელ მტრებს – იუშჩენკოსა და ლუკაშენკოს შორის რაღაც ჯადოსნური კავშირი შეიკრა. რუსული გაზის შესაძლო გაძვირებით უკმაყოფილო ლუკაშენკომ სამიტის წინ განაცხადა, რომ უკრაინელებთან ერთად აპირებს გამოძებნოს სათბობის ალტერნატიული წყაროები.

იქვე იმყოფებოდა პუტინთან შებრძოლების კიდევ ერთი მსურველი – მოლდავეთის პრეზიდენტი ვორონინი, რომელსაც რუსეთთან, როგორც იტყვიან, ძველი ანგარიშები აქვს გასასწორებელი...

ერთი სიტყვით, მინსკში „მხიარული“ კომპანია შეიკრიბა... ვლადიმერ პუტინს რთული ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი – უნდა დაერწმუნებინა მეზობელ-მეგობრები, რომ წარსულს ჩაბარდა დიდი სპონსორობის დრო და ახლა ეფექტიანი პრაგმატიზმის ხანა დადგა...

ერთადერთი, ვისაც არ დაუკარგავს ოპტიმიზმი, ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი იყო. მისი ხელმძღვანელობით მოქმედმა ექსპერტების სპეციალურმა ჯგუფმა სამიტისთვის მოამზადა მოხსენება თანამეგობრობის რეფორმის თაობაზე (ევროკავშირის ნიმუშით) და დოკუმენტი „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში სასამართლო ვერდიქტების სავალდებულო შესრულების შესახებ“.

მაგრამ ბელორუსიის ლიდერის მისასალმებელი სიტყვის შემდეგვე ითქვა, რომ მოსკოვის ინიციატივით განხილვიდან იხსნებოდა როგორც „ბრძენთა საბჭოს“ მიერ დიდი გაჭირვებით შედგენილი დოკუმენტის, ისე ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმის განხილვაც... ეს, ჩვენი აზრით, ძალზე სიმბოლურად ჟღერდა.

მით უმეტეს, რომ მოლაპარაკების მორიგი რაუნდის დროს აგორდა სკანდალი. პუტინსა და ლუკაშენკოს შორის მოხდა უთანხმოება. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან რუსეთის დელეგაციის კონფლიქტი ჯერ კიდევ დილიდან მწიფდებოდა, როცა ბელორუსმა წესრიგის დამცველებმა სამიტზე დასასწრებად არ შეუშვეს სამი მოსკოველი ჟურნალისტი. ამის მიზეზი ბანალური იყო – ლუკაშენკომ მათ გაზეთებში რაღაც „ცუდი“ შენიშვნები წაიკითხა და ძალზე განაწყენდა. ჟურნალისტებს სასწრაფოდ ჩამოართვეს აკრედიტაცია, რამაც კრემლის პრეს-სამსახურის დიდი აღშფოთება გამოიწვია. პრესის მუშაკების გამოძომაგება სცადეს კრემლის მოხელეებმა, მაგრამ ლუკაშენკო შეუვალი იყო...

როცა პრეზიდენტები სათათბირო ოთახიდან გამოდიოდნენ, მათ შეხედვაზე კაცს გული მოგიკვდებოდა. პუტინი დაბნეულად ჭმუჭნიდა რაღაც ქაღალდს, ნაზარბაევს დანა პირს არ უხსნიდა, ლუკაშენკო კი აშკარად გაბრაზებული ჩანდა. ყველაზე ბოლოს დარბაზში შემოვარდა სააკაშვილი და ზედიზედ გადაკრა ორი ჭიქა წყალი.

ჟურნალისტთა შორის გავრცელდა ხმები, რომ ლუკაშენკომ კვლავ განაცხადა უარი სამი რუსი ჟურნალისტის შეშვებაზე, ამჯერად უკვე – საბოლოოდ. ჩვენც იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა სამიტი – უკან გავბრუნდით ყველა: ფოტოგრაფები, ჟურნალისტები, სპეცსამსახურის მუშაკები.

მინსკის სამიტზე თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ლიდერებმა ვერ შეძლეს მორიგების მიღწევა დსთ-ს ქვეყნების სახელმწიფო საზღვრების გაფორმების საკითხების თაობაზე. ამავე დროს, თანამეგობრობის ქვეყნების პრეზიდენტებმა მიიღეს განცხადება უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის გააქტიურების შესახებ, აგრეთვე მოაწერეს ხელი შეთანხმებას დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელის შესახებ. გარდა ამისა, განიხილეს და მიიღეს გადაწყვეტილება თანამეგობრობის მორიგი სამიტის გამართვის შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, გაიმართება სანკტ-პეტერბურგში, 2007 წლის 10 ივნისს.

ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა განაცხადა, რომ „დღის წესრიგი შინაარსიანი იყო“ – განიხილეს „დსთ-ს განვითარების, მისი ეფექტიანობის გადიდების პერსპექტივები, ჰუმანიტარული თანამშრომლობის საკითხები, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გააქტიურებასთან დაკავშირებული პრობლემები“. ნაზარბაევი დეტალურად შეეხო თანამეგობრობაში თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფორმირების საკითხებს და აღნიშნა, რომ ეს პროცესი რთულად მიმდინარეობს. ნაზარბაევის თქმით, უკრაინის მხარე მოითხოვს უბრალოდ საზღვრების გახსნას. მაგრამ თავისუფალი ვაჭრობის ზონა ითვალისწინებს ერთიან ტარიფებს, ერთიან საგადასახადო პოლიტიკას. ამასთან, ყველა დოკუმენტს მხარეებმა უნდა მოაწერონ ხელი, განახორციელონ მათი რატიფიკაცია. შემდეგ კი ეს დოკუმენტები კანონებად უნდა იქცეს, თქვა ნაზარბაევმა.

თავისუფალი ვაჭრობის ზონის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭირო 92 გადაწყვეტილებიდან სამიტზე მიიღეს მხოლოდ – 39. შედარებისთვის: ევრაზიის ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შეათანხმა თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნისთვის საჭირო დოკუმენტების დაახლოებით 70 პროცენტი.

**ვლადიმერ ვორსობინი,**
**КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА**

**29 ნოემბერი**

# გაზის გაძვირებაზე თბილისი მოსკოვს ნატოში შესვლით უპასუხებს

**რიგის სამიტი უკვე მონათლეს ყველაზე „უსუსურად“ ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში. ნატოში კრიზისია – ეს აშკარა ფაქტია, თუმცა სამიტის „დიასახლისი“ ვაირა ვიკე-ფრაიბერგა მაინც ცდილობდა იხტიბარი არ გაეტეხა:**



– ალიანსი თანამიმდევრულად ახორციელებს მსოფლიოში ცვალებადი სიტუაციისადმი ადაპტაციას.

„ცვალებად სიტუაციად“, როგორც ჩანს, იგი გულისხმობდა იმ უზარმაზარ დანაკარგებს, რომლებსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი განიცდის ერაყსა და ავღანეთში. გარდა ამისა, მოკავშირეები ვერანაირად ვერ ახერხებენ მორიგების მიღწევას აღმოსავლეთის მიმართულებით ბლოკის გაფართოების თაობაზე. „რიგის ყრილობაზე“ პირველად მოხდა, რომ ამ ბოლო წლების განმავლობაში, ნატოს არ შემატებია ახალი წევრები.

გავრცელებულ ხმებს თუ ვერწმუნებით, საფრანგეთი, გერმანია და ესპანეთი აქტიურად ეწინააღმდეგებიან ბლოკში ახალი წევრების მიღებას, სამაგიეროდ, ამას მხარს უჭერს ბუში, რის შესახებაც მან რიგაში ჩაფრენისთანავე განაცხადა. რა თქმა უნდა, ვიღაცამ ხომ უნდა ჩაანაცვლოს ამერიკელები ერაყისა და ავღანეთის ფრონტებზე. პრეტენდენტები ამისათვის მზად არიან: ხორვატია, მაკედონია, ალბანეთი და – განსაკუთრებით საქართველო – სულ უფრო აქტიურად უკაკუნებენ ნატოს კარს.

თბილისმა რიგაში მძლავრი პიარ-კამპანია გააჩაღა. ქალაქის ცენტრში, სამიტის წინა ღამეს, მოულოდნელად გამოჩნდა პლაკატები – „ნატო, არ დაგავიწყდეს საქართველო!“. თანაც, ეს მოწოდებები გამოფენილი იყო იმ ქუჩებში, რომლებზეც დაგეგმილი იყო ნატოს ქვეყნების ლიდერთა ექსკურსია.

საქართველოს პარლამენტის სპიკერს ნინო ბურჯანაძეს პრესკონფერენციისთვის გამოუყვეს სამიტის ერთ-ერთი ოფიციალური შენობა.

– სულ მალე ჩვენ ნატოს წევრები გავხდებით, – ვერ მალავდა სიხარულს საქართველოს პარლამენტის სპიკერი. – ასეთია ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა 75 პროცენტის პოლიტიკური ნება.

ამის შემდეგ სპიკერი რუსეთს გადაწვდა და საქართველოს ნატოში გაწევრიანება გაზის ფასებს დაუკავშირა.

– ასეთია ჩვენი თავისუფლების, დამოუკიდებლობის და პოლიტიკური კურსის ფასი. საქართველო გამონახავს სახსრებს თავისი დამოუკიდებლობის საფასურის ასანაზღაურებლად.

ამერიკელმა რესპუბლიკელმასენატორმა რიჩარდ ლუგარმა განმარტა, თუ როგორ შეიძლება ეს მოხდეს:

– იარაღის სახით ენერგეტიკის გამოყენება დღეს უკვე აშკარად ხდება. მაგალითად, რუსეთმა შეუწყვიტა გაზის მიწოდება უკრაინას. ნატო მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ ადეკვატური პასუხი გასცეს ასეთ მოქმედებას. სამხედრო ბლოკის ნებისმიერ წევრზე თავდასხმა იქნება გამოწვევა მთელი ალიანსისთვის და, მაშასადამე, ენერგეტიკული ომი შეიარაღებულ აგრესიას უნდა გავუტოლოთ.

ახლა გასაგებია, თუ რატომ მიილტვის ასე საქართველო ალიანსისკენ. თუმცა, პრეზიდენტ ბუშს არ დაუჭერია მხარი თავისი თანაპარტიელისთვის. რიგაში მან რუსეთს კიდევ ერთხელ უწოდა ნატოს ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**მაქსიმ ჩიჟიკოვი,**
**КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА**

**29 ნოემბერი**

№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

# რეკლამა

● „ეს ზამთარი აზერბაიჯან-საქართველოს ძმობის დემონსტრირების ისტორიული მაგალითი გახდება“



## პრეზიდენტებმა ენერგომომარაგების საკითხებზე იმსჯელეს

**ჟურნალისტებთან საუბრისას, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ძალზე მნიშვნელოვანი უწოდა შეხვედრას აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან, რომელიც გაიმართა მინსკში, დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების სამიტის ფარგლებში. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. „ჩემი აზრით, ეს ზამთარი გახდება აზერბაიჯან-საქართველოს ძმობის დემონსტრირების ისტორიული მაგალითი“, –** დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, შეხვედრის დროს განიხილეს საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, ქვეყნების ენერგოშემცველებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვითარება, აგრეთვე იმსჯელეს მთელ რიგ რეგიონალურ და საერთაშორისო პრობლემებზე.

REGNUM

**საინფორმაციო სააგენტო, 29 ნოემბერი**

## თანამეგობრობა მაინც საჭიროა

**თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ყველა ლიდერი დათანხმდა იმ მოსაზრებას, რომ აუცილებელია ამ სტრუქტურის შენარჩუნება, განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მინსკის სამიტის შედეგების შეჯამებისას.**

ყველა იზიარებს იმ აზრს, რომ ეს ორგანიზაცია საჭიროა, რომ მისი პოტენციალი ჯერკიდევ მთლიანად არ არის გამოვლენილი და რომ მას აქვს განვითარების პერსპექტივები, თქვა პუტინმა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ამ ბოლო წლებში მოხდა სერიოზული ცვლილებები პოსტსაბჭოურ სივრცეში და ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ადაპტირება სადღეისო რეალიებთან.

НОВОСТИ

**სიახლე**

# საუკეთესო ინვესტიცია

### ქართული კომპანიები საუკეთესო ახალგაზრდების სწავლას დააფინანსებენ

**ი-ეს-ემ-თბილისი მართვის ევროპული უმაღლესი სკოლაა. იგი – ერთ-ერთი პირველი არასახელმწიფო საერთაშორისო უმაღლესი სასწავლებელი – 1992 წელს დაარსდა და ბიზნესის სხვადასხვა სექტორისთვის პროფესიონალ მენეჯერებს ამზადებს. საქართველოში უკვე მისი 451 კურსდამთავრებულია, რომელთაგან 98 პროცენტი დასაქმებულია, 18 პროცენტი კი დამოუკიდებელი ბიზნესმენია.**

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელში ნიჭიერმა ახალგაზრდებმა მოიყარონ თავი, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ აქ მხოლოდ შეძლებული ოჯახების შვილები თუ მოხვდებიან, რადგან სწავლის საფასური მაღალია, ალბათ დამერწმუნებით, რომ სამი წლის განმავლობაში 11-12 ათასი დოლარის გადახდა ძნელია.

ამიტომაც ნამდვილად მისასალმებელია, რომ შეიქმნა ახალი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ნიჭიერი და ხელმოკლე პირველკურსელებისათვის ი-ეს-ემ-თბილისში ბიზნეს-ადმინისტრირების ბაკალავრიატის პროგრამის სწავლის საფასურის სრულ დაფინანსებას. ასეთი მეტად საჭირო და აქტუალური სოციალური პროგრამა ამ დღეებში სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ერთობლივად წარმოადგინეს კომპანია „ყაზბეგმა“, „სტანდარტ ბანკმა“, საინვესტიციო კომპანია „სალფორდ საქართველომ“ და ი-ეს-ემ-თბილისმა.

სასწავლებლის დირექტორმა სიმონ ქადაგიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, უფრო პირველკურსელებმა, ვისაც სურს, რომ სწავლა ი-ეს-ემ-თბილისში განაგრძოს, ხუთ დეკემბრამდე უნდა წარმოადგინოს სათანადო საბუთები. ანკეტების საფუძველზე მიღებული რვა კონკურსანტი უფასოდ გაივლის სპეციალურ სერტიფიცირებულ მოსამზადებელ კურსებს 2007 წლის რვა იანვრიდან ოცდარვა კვირის განმავლობაში. საუკეთესო კონკურსანტების შერჩევის კრიტერიუმებია ფინანსური შესაძლებლობების შეზღუდულობა, მაღალი აკადემიური მონაცემები და კარიერის დიდი სურვილი და მოტივირება.

მოსამზადებელი კურსების გავლის შემდეგ მხოლოდ სამი საუკეთესო კონკურსანტი დაფინანსდება. კომპანია „ყაზბეგი“, „სტანდარტ ბანკი“ და საინვესტიციო კომპანია „სალფორდ საქართველო“ თითო სტუდენტს დააფინანსებს სამი წლის განმავლობაში.

კომპანია „ყაზბეგის“ გენერალურმა დირექტორმა გოგი თოფაძემ აღნიშნა, რომ ქართველებს ნიჭიერებით ცოტა ვინმე თუ შეედრება, ახალგაზრდები უცხოეთში მიდიან, უსახსრობის გამო ბევრს თავისი ადგილი ვერ მოუძებნია, არადა, საქართველოში ბევრი სხვადასხვა სახეობის პროდუქციის შექმნა შეიძლება, რომლებიც მერე ექსპორტზე შეიძლება გაიგზავნოს.

საინვესტიციო ფონდ „სალფორდ საქართველოს“ დირექტორმა ირაკლი რუხაძემ თქვა, რომ ჩვენი ქვეყნის ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა ყველას ვალია. ამერიკაში სწავლის დროს, თქვა მან, მეც დამეხმარნენ და ამის დავიწყება არ შეიძლება.

„სტანდარტ ბანკის“ პიარ-კონსულტანტებმა ეკა ხოფერიამ და გიორგი თარგამაძემ მოიწონეს სოციალური პროგრამა და იმედი გამოთქვეს, რომ გამარჯვებული კონკურსანტები პროფესიას უზადოდ დაეუფლებიან.

ბიზნესკომპანიების მიერ გაღებული თანხები ნიჭიერ ახალგაზრდებს გზას გაუხსნის ცოდნის დაუფლებისკენ. ასეთი ქველმოქმედება სხვებისთვისაც მისაბაძი უნდა გახდეს.

**ლალი ქინქლაძე**


# შპს „საქართველოს რკინიგზის“

## ფილიალ „მგზავრთა გადაყვანის“ ტექნიკური დეპარტამენტი აცხადებს ღია საჯარო კონკურსებს

### სავაგონო უბნის ელექტროსაამქროს მატარებლის ელ.მექანიკოსის თანამდებობაზე

**მატარებლის ელ.მექანიკოსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები :**

1. არანაკლებ სრული საშუალო განათლებისა;
2. ელექტრომექანიკოსად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. CV (ავტობიოგრაფია);
2. განათლების მიღების დამადასტურებული მოწმობის (ატესტატის ან დიპლომის) ასლი;
3. სხვა მასალები კანდიდატის შეხედულებისამებრ.

**საბუთები მიიღება 2006 წლის 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით.**

**მისამართი:**

**შპს „საქართველოს რკინიგზა“**
**ფილიალი „მგზავრთა გადაყვანა“**
**ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2**
**ტელ: 56-65-43**

### თბილისის სალოკომოტივო დეპოს საწარმოო-ტექნიკურ განყოფილებაში მოძრავი შემადგენლობის რემონტის უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე

**მოძრავი შემადგენლობის რემონტის უფროსი ინჟინრის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. არანაკლებ 18 წლის ასაკისა;
2. უმაღლესი განათლება ინჟინრის კვალიფიკაციით.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. CV (ავტობიოგრაფია);
2. განათლების მიღების დამადასტურებული მოწმობის (დიპლომის) ასლი;
3. სხვა მასალები კანდიდატის შეხედულებისამებრ.

საბუთები მიიღება 2006 წლის 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით.

**მისამართი:**

**შპს „საქართველოს რკინიგზა“**
**ფილიალი „მგზავრთა გადაყვანა“**
**ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2**
**ტელ: 56-65-43**

### თბილისის სალოკომოტივო დეპოს ელ.მექანიკური საამქროს ელ.შემდუღებლის თანამდებობაზე

**ელ.მექანიკური საამქროს ელ.შემდუღებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. არანაკლებ 18 წლის ასაკისა;
2. არანაკლებ სრული საშუალო განათლებისა;
3. საშემდუღებლო აპარატის დანიშნულების, კონსტრუქციის შედუღების პროცესის სწორი და უსაფრთხო განხორციელების ცოდნა.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. CV (ავტობიოგრაფია);
2. განათლების მიღების დამადასტურებული მოწმობის (დიპლომის) ასლი;
3. სხვა მასალები კანდიდატის შეხედულებისამებრ.

**საბუთები მიიღება 2006 წლის 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით.**

**მისამართი:**

**შპს „საქართველოს რკინიგზა“**
**ფილიალი „მგზავრთა გადაყვანა“**
**ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2**
**ტელ: 56-65-43**

### თბილისის სალოკომოტივო დეპოს დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ინჟინრის თანამდებობაზე

**დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ინჟინრის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. არანაკლებ 18 წლის ასაკისა;
2. უმაღლესი განათლება ინჟინრის კვალიფიკაციით;
3. სავალდებულოა ელექტრონული სისტემების ცოდნა.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. CV (ავტობიოგრაფია);
2. განათლების მიღების დამადასტურებული მოწმობის (დიპლომის) ასლი;
3. სხვა მასალები კანდიდატის შეხედულებისამებრ.

**საბუთები მიიღება 2006 წლის 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით.**

**მისამართი:**

**შპს „საქართველოს რკინიგზა“**
**ფილიალი „მგზავრთა გადაყვანა“**
**ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2**
**ტელ: 56-65-43**


№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

# პეკინი – 2008

უკეთ, ვიდრე ათენში!

დარჩა 617 დღე.
ოლიმპიური ჩანართი №1

*ჩინეთის დედაქალაქ პეკინში 2008 წლის 8 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნება ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშები. მსოფლიოს სპორტულ ფესტივალამდე ჯერ კიდევ 20 თვეზე მეტი რჩება. როგორ ემზადებიან საქართველოს საუკეთესო ათლეტები ჩინური ბატალიებისათვის, რამდენი ლიცენზიის მოპოვებას აპირებენ ან რა ხდება მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქში — ამ და სხვა საინტერესო ამბებს შეიტყობთ ჩვენი გაზეთის ოლიმპიური ჩანართიდან, რომელსაც ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს შემოგთავაზებთ.*

პირველი მერცხალი

## საგზური უკვე დაიბევა

**ასე მოხდა ოთხი წლის წინათაც – მაშინ შანხაიში ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშებაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა დაიბევა ათენის ოლიმპიადის საგზური.**

ისტორია განმეორდა. წლეულს ჩინეთის ქალაქ გუანჩჟოუში მსოფლიო თასზე ასპარეზობისას ქართველმა ჩუბინმა კვლავ პირველმა მოიპოვა პეკინის 2008 წლის თამაშების ლიცენზია. სპორტული პისტოლეტით პაექრობისას საკვალიფიკაციო ეტაპზე ნინომ 589 ქულა მოაგროვა და ფინალში პირველ ნომრად შევიდა. მას ორი ქულით ჩამორჩა მსოფლიო და ოლიმპიური პრიზიორი, ავსტრალიაში გათხოვილი ბელარუსი ლოლიტა იევლევსკაია. 586 ქულა ჰქონდა ჩინელ ჩენ ინგს, ხოლო ქულით ნაკლები – სერბ იასნა სეკარიჩს, რუს სვეტლანა სმირნოვასა და მონღოლ ჩოგბადრანს.



სამწუხაროდ, ფინალში სალუქვაძემ ყველაზე უარესად ისროლა, თუმცა მეოთხე ადგილზე გასვლა მაინც შეძლო. ამ შედეგმა ქართველ სპორტსმენს პეკინის ოლიმპიადის საგზური მოუტანა, რადგან გუანჩჟოუს ტურნირის პრიზიორებს – იევლევსკაიას, ჩენ ინგსა და მონღოლ გუნდეგმაა ოტრიადს თამაშებზე გასამგზავრებელი ბილეთები ადრევე ჰქონდათ დაჯავშნული.

– ჩინეთის ტურნირის წინ იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე გამომევლინა, – მითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, – მართლაც, საკვალიფიკაციო ეტაპზე კარგად ვისროლე და 589 ქულა მოვაგროვე. ასეთი შედეგი კარგა ხანია, არ მქონია. ფინალში კი სათანადოდ ვერ ვიასპარეზე. რამდენიმე ობიექტურმა მიზეზმა იმოქმედა ჩემზე. კერძოდ, საკვალიფიკაციოში ქაღალდის ფარებზე ვისროდით, ფინალში კი – ელექტროფარებზე, რასაც შეჩვევა სჭირდება. მე კი საამისო დრო არ მქონდა. უფრო მეტიც, ფერების ციმციმში საცდელი გასროლა საერთოდ ვერ მოვასწარი. ნერვიულობამ და იმის შიშმა, რომ კიდევ არ დამიგვიანდესმეთქი, საპრიზო ადგილებს მილმა დამტოვა. ყოველივეს მიუხედავად, მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ლიცენზია მოვიპოვე. პეკინის თამაშები ჩემთვის მეექვსე ოლიმპიადა იქნება...

კარგად დაებედა ჩინეთში ასპარეზობა ნინო სალუქვაძეს. ზედიზედ ორჯერ სწორედ ამ ქვეყანაში მოიპოვა ოლიმპიური საგზურები. ვინ იცის, იქნებ პეკინში აისრულოს კიდევ ერთი ოცნება და თამაშების ოქროს კვარცხლბეკზე მეორედ ავიდეს.

მოზაიკა



### თილისმა-თოჯინები

**შარშან ნოემბერში პეკინის ოლიმპიადის თილისმა გააცნეს გულშემატკივრებს: ეს არის ხუთი თოჯინა, რომელთა სახელების პირველი მარცვლები შეადგენს წინადადებას – „პეკინი მოგესალმებათ“.** გაუწყებთ თილისმა-თოჯინების სახელებს: მარცხნიდან – ბეიბეი (თევზიძ, ცზინცზინი (დიდი პანდაძ, ხუანხუანი (ოლიმპიური ცეცხლიძ, ინინი (ტიბეტური საიგაკიძ და ნინი (მერცხალიძ. ჩინური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, თილისმა-თოჯინები დიდი რაოდენობით იყიდება სუვენირებად.

### ახალი ობიექტები შეემატება



**ჩინეთის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მომავალ სპორტულ ფესტივალს და მას განიხილავს როგორც მწვანე ოლიმპიურ თამაშებს, რაც თავისთავად ეკოლოგიურ სისუფთავეს გულისხმობს.** საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით, ოლიმპიადისთვის პეკინში 37 ახალი სპორტული ობიექტი აშენდება, ხოლო პროვინციებს 6 კომპლექსური ბაზა შეემატება.

დაფასება

## ორდენით დააჯილდოვეს

**წლეულს კორეის დედაქალაქ სეულში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის (ANOCძ მე-15 გენერალური ასამბლეის მუშაობაში მსოფლიოს ყველა ქვეყნის 1500-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის გახლდათ სეოკის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.**

საგულისხმოა, რომ გენერალური ასამბლეის მსვლელობისას ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ANOC-ის ღირსების ორდენით ემზარ ზენაიშვილიც დააჯილდოვეს. მას ორდენი სოკის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის თავკაცმა მარიო ვასკეს რანიამ გადასცეს.

ბატონი ემზარი 18 წელიწადია, სპორტულ სფეროში საქმიანობს. 1991 წლიდან სეოკის გენერალური მდივანია. სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საგამომცემლო პროექტების გენერალური პროდიუსერი და მთავარი კოორდინატორიც გახლავთ. ქართულ და უცხოურ ჟურნალგაზეთებში მრავალი პუბლიკაცია აქვს გამოქვეყნებული, რამდენიმე წიგნის ავტორი და რედაქტორია.

– ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა მსოფლიო ასოციაცია მალე ოცდაათი წლის იუბილეს აღნიშნავს, – მითხრა ბატონმა ემზარმა. – ბოლო ოცი წელიწადია, მას სათავეში უდგას ცნობილი მექსიკელი მეწარმე მარიო ვასკეს რანია, რომელიც სეულში კიდევ ორი წლით აირჩიეს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ANOC-ს დიდი ავტორიტეტი და გავლენა აქვს მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში. იგი სოკ-თან ერთად განსაზღვრავს ოლიმპიურ პერსპექტივას, მის მომავალს, თამაშების სტრატეგიას და პროგრამებს. გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდა, რომ ასოციაცია რეკომენდაციით მიმართავს სოკ-ს, რომ ოლიმპიური თამაშების პროგრამასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტას დასჭირდეს ხმათა ნახევარს პლუს ერთი და არა ორი მესამედის თანხმობა, როგორც ამჟამადაა.



სეულში გამართულ სხდომაზე ჩემთვის მეტად სასიამოვნო პროცედურა იყო დაჯილდოების ცერემონიალი. ორდენი ხომ თვით ჟაკ როგმა და მარიო ვასკეს რანიამ გადმომცეს. ANOC-ის ღირსების ორდენით მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები არიან დაჯილდოებული. ბოლო ორი წლის განმავლობაში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ევროპელ ხელმძღვანელთაგან მე მხვდა წილად ამგვარი პატივი. სეულში ჩემთვის გადმოცემული ორდენი სეოკის, ჩემი კოლეგების, ყველა თაობის ქართველ ოლიმპიელთა ჯილდოდ მიმაჩნია. ასეთი დაფასება მავალებს, გაორკეცებული ენერგიით ვილვაწო ჩემი ქვეყნისა და ქართული სპორტის საკეთილდღეოდ.

**სურათზე: ჟაკ როგი, ემზარ ზენაიშვილი და მარიო ვასკეს რანია.**

ციგურაობა

## ორი შეჯიბრება გაუცდა

**თექვსმეტი წლის ფიგურულად მოციგურავე ელენე გედევანიშვილმა წლეულს აშკარად გააოცა გულშემატკივრები, როცა ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე, ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე კი მეათე ადგილი დაიკავა.**

ქართველი სპორტსმენი რამდენიმე წლის განმავლობაში ცნობილ მოსკოველ სპეციალისტ ელენა ვოდორეზოვასთან ვარჯიშობდა რუსეთის დედაქალაქში. ჩრდილოელ მეზობლებთან პოლიტიკური ვითარების გაუარესებამ და იქ გაჩაღებულმა ანტიქართულმა ისტერიამ გედევანიშვილს ახალი სეზონის გეგმები აურია: ჩვენმა მოციგურავემ ოქტომბერში „ჩინეთის თასზე“ ვერ იასპარეზა, ახლა კი მსოფლიო თასის ბოლო ტურნირს – „NHK ტროფს“ გამოტოვებს, რომელსაც იაპონიის ქალაქი ნაგანო უმასპინძლებს.

როგორც ჩანს, გედევანიშვილს 2007 წლის შეჯიბრებებიც ჩაუვარდება და მის სპორტულ კარიერასაც საფრთხე ემუქრება.

კონტაქტები

## მემორანდუმით განმტკიცდა

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წლითიწლობით აფართოებს მეგობრულ კონტაქტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან.** საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას ახლა ბევრად მეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ოლიმპიურ თამაშებამდე სულ უფრო ნაკლები დრო რჩება. ამგვარ სიტუაციაში ორმაგად ნიშანდობლივია მომავალი ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის სპორტის მესვეურებთან თანამშრომლობის განმტკიცება. ამას წინათ სწორედ ამ მიზნით გვეწვია პეკინიდან ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის მრავალრიცხოვანი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ამ ქვეყნის სპორტის მინისტრის მოადგილე, სოკ-ის აღმასკომის წევრი, პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი იუ ცაიჩინი, ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის ლოჯისტიკის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი თიენ ჯაორონი, ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი ლინ შიაოჰუა და სხვები.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ სეოკის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, იუ ცაიჩინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ვან კოვენი.



ლერი ხაბელოვმა და იუ ცაიჩინმა ხელი მოაწერეს ჩინეთისა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიური კომიტეტებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ორი ქვეყნის წარმომადგენელთა მეგობრობის განმტკიცებას. მემორანდუმის მიხედვით, მხარეები ეცდებიან, განავითარონ ოლიმპიური მოძრაობა, აქტიურად ითანამშრომლონ ორმხრივი შეჯიბრებების ორგანიზებისა და სპორტსმენთა ზაფხულის 29-ე ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პროცესში, გაცვლიან ათლეტებს, გამართავენ ერთობლივ საწვრთნელ შეკრებებს ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მომზადების მიზნით.

ორივე ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტები მხარს უჭერენ ოლიმპიური მოძრაობის მშვიდობიანი მისიის განხორციელებას და სპორტის მორალურ-ეთიკური ღირებულებების დაცვას. ამ მიზნით, იბრძოლებენ სპორტში ნებისმიერი დისკრიმინაციისა და დოპინგის წინააღმდეგ; მკაცრად დაგმობენ ყოველგვარ გამოვლინებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ოლიმპიური იდეალების განხორციელებას. მხარეები ერთობლივი ძალისხმევით ყველა საჭირო ღონისძიებას გაატარებენ სპორტში აკრძალული ნივთიერებების, დოპინგებისა და ნარკოტიკების გამოყენების, ძალადობისა და რასიზმის წინააღმდეგ.

გვერდი მოამზადა ვაჟა დანელიამ

№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

- „ბორჯღალოსნები“ ისევ მე-17 ადგილზე არიან 65. 33 ქულით. ეს საუკეთესო შედეგია პოსტსაბჭოთა სივრცეში
- თქვე დალოცვილებო, „კოკა-კოლასა“ და „ფანტას“ სვამთ, კაცო?



**დინასტია**

## ძეობა ახალკაცთა ოჯახში

**ახალკაცების ოჯახში მატებაა – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვაჟი შეეძინა. რა გასაკვირია, რომ გიორგობისთვეში დაბადებულს მშობლებმა გიორგი დაარქვეს. შეგახსენებთ, რომ სფფ თავკაცს ქალიშვილიც ჰყავს – ანასტასია უკვე 8 წლისაა.**

**ვულოცავთ სახელოვანი საგვარეულოს წარმომადგენლებს ვაჟიანობას და ახალშობილსაც მომავალში ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ საქმიანობას ვუსურვებთ.**

**ფეხბურთი**

## ელიტა იაპონიაში შეიკრიბება



**დაზუსტდა იმ ექვსი კლუბის ვინაობა, რომელიც 10-17 დეკემბერს იაპონიის სტადიონებზე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში ითამაშებს.** ეს პატივი წილად ხვდათ ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორს „ბარსელონას“, ლიბერტადორესის თასის მფლობელს ბრაზილიის „ინტერნაციონალს“ (პორტუ-ალეგრიძ, მექსიკის „ამერიკას“, ჩინეთის „ჩონბუკს“, ეგვიპტის „ალ-აჰლის“ და ახალი ზელანდიის „ოკლენდ სიტის“. ტურნირი სწორედ ამ უკანასკნელთა მატჩით გაიხსნება და აღნიშნულ წყვილში გამარჯვებული ნახევარფინალში სამხრეთამერიკელებს შეხვდება, ხოლო კატალონიელთა მეტოქეს მექსიკელთა და ჩინელთა დუელი გამოავლენს.

**რაგბი**

## ისევ იქ



**მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე გასულმა საქართველოს ნაკრებმა რაგბის საერთაშორისო საბჭოს ახალ რეიტინგში ძველი პოზიცია შეინარჩუნა – „ბორჯღალოსნები“ ისევ მე-17 ადგილზე არიან 65. 33 ქულით. ეს საუკეთესო შედეგია პოსტსაბჭოთა სივრცეში. ჩვენი პრინციპული მეტოქე რუსეთის გუნდი საუკეთესო ოცეულის უკანასკნელ საფეხურზეა დისლოცირებული.**

რაც შეეხება ბობოლებს, წამყვან ათეულში ასეთი მდგომარეობაა: ახალი ზელანდია, საფრანგეთი, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ირლანდია, არგენტინა, ინგლისი, უელსი, შოტლანდია, სამოა.

**ორბიტაზე**

## ირანი დროებით შეიწყალეს




**როგორც უკვე ვწერდით („სრ“ 28.XI. 2006წ, ფიფამ შერისხა ირანული ფეხბურთი და ფეხბურთის ფედერაციის საქმეში მთავრობის ჩარევის გამო იქაურ გუნდებს აუკრძალა ყოველგვარ საერთაშორისო ტურნირში, მათ შორის აზიურ თამაშებში მონაწილეობა. მისი საგზური კი ირანის ნაკრებმა ამ დღეებში მოიპოვა, დაიკავა რა პირველი ადგილი შესარჩევი ტურნირის ქვეჯგუფში.**

ირანელი ფეხბურთის ჩინოვნიკები მსოფლიო ფეხბურთის შტაბს – ფიფას – დაჰპირდნენ, რომ სიტუაციას ერთი თვის ვადაში მოაწესრიგებენ. ფიფამ დროებით მოუხსნა ირანს ეს შეზღუდვები და ამ ქვეყნის ნაკრებს აზიურ თამაშებში გამოსვლის ნება დართო. თამაშები კი 28 ნოემბერს დაიწყო კატარში.

## კომპიუტერმა კრამნიკი დააშამათა

**25 ნოემბერს ბონში დაიწყო და 5 დეკემბრამდე გასტანს ადამიანისა და „ჭკვიანი მანქანის“ მორიგი საჭადრაკო დუელი – მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ვლადიმერ კრამნიკი უახლესი, მეათე ვერსიის კომპიუტერული პროგრამის Deep Fritz წინააღმდეგ.**

პირველი პარტია, რომელშიც კრამნიკი „თეთრებით“ თამაშობდა, ყაიმით დამთავრდა. მეორე პარტიაში კი „თეთრებით“ მოთამაშე კომპიუტერმა დაამარცხა რუსეთელი დიდოსტატი, რომელმაც 34-ე სვლაზე უხეში შეცდომა დაუშვა. ისე რომ, ანგარიშია 1,5:0,5 კომპიუტერის სასარგებლოდ.

შეგახსენებთ, რომ გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც 6 პარტიაში პირველი დააგროვებს 3 ქულას. კრამნიკის გამარჯვების შემთხვევაში, ის მილიონ დოლარს მიიღებს.

## სექსი კი არა, სიყვარული აახლოვებთ



**მკერდსავსე ბრიტანელმა მოდელმა, 28 წლის ქეთი პრაისმა, რომელიც ცნობილია როგორც ჯორდანი, როგორც ამბობენ, ბოლოს და ბოლოს იპოვა თავისი ბედნიერება. მას ხომ აქამდე სპორტული ვარსკვლავების მთელ გუნდთან, მათ შორის ავტომრბოლ რაულ შუმახერთან, ფეხბურთელებთან დევიდ ბექჰემთან და დუაიტ იორკთან ურთიერთობას „აბრალებდნენ“.**

ახლანდელ თავის ქმარზე – მომღერალ პიტერ ანდრეზე – ის ამბობს, რომ ის მამაკაცია, ვისთანაც, მზადაა, მთელი სიცოცხლე გაატაროს. ქეთის თქმით, მისი ურთიერთობა ქმართან სექსზე კი არაა დამყარებული, არამედ დიდ სიყვარულზე.

ქეთის ამ პორტრეტის ხილვისას ძნელია დაუჯერო ანდრეს, რომ ჯორდანთან მისი ურთიერთობა მხოლოდ სულიერებაზეა დამყარებული.

**ჩვენებურები**

## ვენესუელელი ლაზი ქართულად მებაასებოდა

**კარგად არც კი იყო გათენებული, თბილისი-ბათუმის ავტობუსში რომ ჩავჯექი და ჩემს გვერდით, სავარძელში, ფართოულვაშა, მზედაკრული შუახნის ვაჟკაცი ჩაჯდა.**

– გამარჯობათ!.. ა? მივდივართ, ხომ?

– ეტყობა!.. გავდივართ უკვე! – მივუგე და ავტობუსი დაიძრა.

– კი, რაც მართალია, მართალია, ძალიან ლამაზი ქვეყანა გაქვთ... მე ასე მგონია!.. ა, შეხედეთ, რა ლამაზად არის აღმართული ეს ტაძარი მთის კენწეროზე!..

– ჯვარი!.. მცხეთის ჯვარი!... დიდებულია! – მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ ჩემი თანამოსაუბრე უცხოელი იყო. ეტყობა, თურქი.

– კი, კი... მე თურქი ვარ! თურქი, ისმაილ ალ-ყაზარი! – თითქმის მიმიხვდა ნაფიქრალს და მარჯვენა გამომიწოდა.

მე ჩემი ვინაობა გავაცანი და ერთობ მესიამოვნა, თანამგზავრად ასეთი ენაწყლიანი უცხოელი რომ მომივლინა უფალმა.

– შეხედე, რა ლამაზად იხედება კავკასიონი!..

– დიახ, ლამაზია!... აი, იმ მწვერვალს მყინვარწვერი ჰქვია!...

– მყინვარწვერი ახლოდანაც მინახავს... ამ ერთი კვირის წინათ ვიყავი სტეფანწმინდაში... გავისეირნეთ!..

– საქმე გექნებოდათ, ალბათ?..

– იმაზე დიდი საქმე რა არის, ასეთი სილამაზე ნახო კაცმა?!

– კაი საქმეა, ჩემმა მზემ...

– ხუთი წლის ვყოფილვარ, ჩემი მშობლები მექსიკაში რომ გადასახლებულან... ბოლო ოცდაათი წელიწადი ვენესუელაში ვცხოვრობ...

– ო, ვენესუელა! ცნობილი წყალვარდნილის სამშობლო...

– დიახ, დიახ!.. ანხელი თქვენც გცოდნიათ!.. კარგია, კარგია!

– მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერია ანხელი... საოცარია იგი, ხომ არ გინახავთ?

– მინახავს! მდინარე კარონის ხეობა მოვინახულეთ მე და ჩემმა ბრაზილიელმა მეგობრებმა და რახან ამ მხარეს ვიყავით, ანხელსაც ვეწვიეთ!..

– მართლაც ზღაპრული კანიონი აქვს მდინარე ჩურუნს...

– კი, ნამდვილად ასეა!..

– ჰოდა, ასეთი ადგილების მნახველმა გადავწყვიტე, მსოფლიოს სხვა საოცრებებიც მენახა...

– ოჰო!..: მართალი გითხრათ, შემოგნატრით!

– უკვე ნახევარი მსოფლიო მოვიარე... ამ პერიოდში ჩემს ძირძველ სამშობლოში, თურქეთში ვიყავი ჩამოსული და როცა გავიგე, რომ საქართველოში ადვილად შეიძლებოდა გადასვლა, მეც ავდექი და ჩამოვედი. მოდი, ერთი-ორი დღით გავისეირნებ საქართველოში-მეთქი, მაგრამ დღე კი არა, აგერ უკვე მესამე კვირაა დავდივარ ქართულ მიწაზე და არც ვნანობ... ბევრი შესანიშნავი რამ ვნახე, ბევრი რამ გავიგე!..

– მიკვირს ძალიან!.. მართალია, ოდნავ დასავლური კილო გაქვთ, მაგრამ ქართულად შესანიშნავად ლაპარაკობთ!..

სიცილით გაიჭაჭა ისმაილი. იცინოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვამდა ფრაზებს.

– მიმიხვდით, დიახ, მიმიხვდით!.. მთლად ასე „ბრმად“ კი არ ჩამოვსულვარ თქვენს საქართველოში!.. ცოტა მოვიტყუე... ვიფიქრე, რა საჭიროა-მეთქი, მეგონა მაინც არ დამიჯერებდით... მამაჩემი იტყოდა, ჩვენ ლაზები ვართო!..

სიცილში ავყევი და, როცა მოვრჩით ამ მხიარულებას, სერიოზულად მითხრა.

– უკვე ხუთი წელიწადია თურქეთში ხშირად ჩავდივარ, იქ ერთ ქართველ მასწავლებელთან მაქვს კავშირი და სწორედ მისგან ვისწავლე, რაც ვიცი... არ მინდოდა საქართველოში ჩამოვსულიყავი და თარჯიმნით მესარგებლა!..

– ყოჩაღ, ბევრი ენა გეცოდინებათ!..

– ისე, რა!.. ესპანური, პორტუგალიური, ინგლისური, რუსულსაც ვამტვრევ... იცით, რა მიკვირს? – საქართველოში, ეტყობა, ყველამ არ იცის ქართული...

– კი, ასეა!..

– კი, მაგრამ, ისინიც ხომ საქართველოში ცხოვრობენ?..

– კი, მაგრამ ეროვნებით ზოგი ქურთია, ზოგიც სომეხი, ზოგიც აზერბაიჯანელი, ბევრიც რუსია...

– მერე ქართული არ სჭირდებათ?

– როგორ არ სჭირდებათ, მაგრამ...

– მაგრამ ის არის, რომ, ალბათ, მათ არავინ თხოვს სახელმწიფო ენის ცოდნას! – ისმაილმა გაოცებული თვალებით შემომხედა.

– კი, ასეა!..

– მიკვირს, ნამდვილად მიკვირს!.. თუ ადამიანი ქვეყნის მუდმივი მცხოვრებია, ნუთუ მან ამ ქვეყნის ენა არ უნდა იცოდეს?

– უნდა იცოდეს, მაგრამ...

– კიდევ რამ გამაკვირვა, იცით? ამდენი მათხოვარი არსად მინახავს, რამდენიც თქვენთან...

– რა? მათხოვრები ვენესუელაში არ არიან?

– როგორ არ არიან, მაგრამ ვენესუელას ხომ არ შევადარებ საქართველოს, აქაური მათხოვრები უფრო საწყლები მეჩვენა, ვინემ ვენესუელელები!.. მათხოვრები თურქეთშიც საკმაოდ არიან, მაგრამ... რუსთაველზე და მეტროშიც ვნახე მათხოვრები, რომლებსაც მკერდზე რაღაც ნაწერი ჰკიდიათ... ვკითხე გამვლელებს, რა აწერიათ-მეთქი და იცით რა მიპასუხეს? – ომის მონაწილე ვარ და დამეხმარეთო!.. ომის მონაწილეები ასე უპატრონოდ რომ არიან მიტოვებულნი, სწორედ ამან გამაკვირვა!

შემრცხვა!

– იცით, როცა ქვეყანაში ამდენი ადამიანი მათხოვრობს, ფეიერვერკები და შადრევნები არა მგონია, საქმეს შველოდეს!.. ბოდიშს გიხდით, მაგრამ, ჩემს ძარღვებში რომ ლაზური სისხლი ჩქეფს, ამიტომაც გული მტკივა...

ამასობაში ჩვენი ატობუსი ხეობაში შეჩერდა. მძღოლმა ნახევარსაათიანი შესვენება გამოაცხადა და ჩვენც მუხლი გავმართეთ. სახაჭაპურესთან მივედით და შევეცადე გავმასპინძლებოდი. ისმაილმა „თავი მოიკლა“, მე გადავიხდიო, მაგრამ არ დავანებე. მივირთვით, მართლაც კარგი იმერული ხაჭაპური და „კოკა-კოლაც“ დავაყოლეთ.

– რუსთაველზე, რომ გავიარე, იქ ერთ კაფეში შევედი. აქაური „აჩმა“ გავსინჯე და შესანიშნავი წყალი მივაყოლე... მითხრეს, „ლაღიძეაო!..“

– ლაღიძე იმ დიდებული კაცის გვარია, რომელმაც შექმნა ეს ბრწყინვალე უალკოჰოლო ხილეული წყლები.

– ვიცი, მაგრამ, მთელი საქართველო შემოვიარე და სხვაგან არსად მინახავს... თუ ვნახე, ისეთი არ იყო, რუსთაველზე რომ დავლიე... ასეთი შესანიშნავი სასმელი გაქვთ და, თქვე დალოცვილებო, „კოკა-კოლასა“ და „ფანტას“ სვამთ, კაცო?..

– ჯერ ერთი, „კოკა-კოლას“ და „ფანტას“ მსოფლიო სვამს, მეორეც – ბიზნესი ბიზნესია, ბატონო ჩემო!

– მერე, ვინ შეგიზღუდავთ „ლაღიძით“ გააკეთოთ ბიზნესი? მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ იტყოდა უარს „ლაღიძეზე!..“ კიდევ ერთმა რამემ გამაკვირვა! აღმაშენებლის პროსპექტზე თურქულ ჩაიხანაში შევედი, ორიოდე ფინჯანი ჩაი დავლიე... მითხრეს, – ინგლისური გინდათ, ინდური თუ თურქული... არც წამოცდენიათ, „ქართული ჩაიო“... რატომ? ნუთუ, ქართული ჩაი არ ვარგა? მე ვიცი, რომ საქართველოში შესანიშნავი ხარისხის ჩაი მოდის...

ოჰ, ამოვიოხრე გულში, – ვის ახსოვს ქართული ჩაი, და საერთოდ, სოფლის მეურნეობა დღევანდელ საქართველოში...

– ღვინო თუ მიირთვით, ქართული?

– კი, მივირთვი... წითელიც, თეთრიც, შავიც... შესანიშნავი ღვინოები გაქვთ, ოღონდ მსოფლიო ბაზარზე გატანა ძალზე ძნელია... ვნახოთ, ვენესუელაში რომ ჩავალ, იქნებ მექსიკაც დავაინტერესო თქვენი ღვინოებით! საცოდაობაა თქვენს ღვინოს მსოფლიო არ ჰქონდეს დაპყრობილი...

ბათუმში ნაღვლიანი საღამო დაგვხვდა. ისმაილმა, ახლა მე უნდა დაგპატიჟოო და ერთ საოჯახო რესტორანში მიმიწვია.

– ყველაფერი ქართული!... შეუკვეთა რესტორნის პატრონს ისმაილმა და სანამ სტამბოლისკენ ავტობუსი გავიდოდა, იმერულ ხაჭაპურს, ტაბაკას, ელარჯს, საცივს და ქოთნის ლობიოს უსინჯავდა გემოს, თანც „ოჯალეშს“ ვწრუპავდით.

– როდის დაბრუნდები საქართველოში, ისმაილ? – ვკითხე გამომშვიდობებისას.

– ვნახოთ!.. ყოველ შემთხვევაში შენი სავიზიტო ბარათი ხომ მაქვს და აუცილებლად გნახავ!..

ძმებივით გადავკოცნეთ ერთმანეთი!

**ზაურ ფიფია**

**თბილისი-ბათუმი-თბილისი**

№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

- საქართველომ და ქართულმა ფოლკლორმა სვენ ვოგეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას სხვა ეშხი მისცა
- დემოკრატებს ვირუკას დამჯერობა და მომხიბვლელობა მოსწონთ, რესპუბლიკელები კი სპილოს ღონისა და ინტელიგენტობის ნიმუშად მიიჩნევენ...



№ 235. ხუთშაბათი. 30 ნოემბერი. 2006 წელი.

ეს სიმღერაა საქართველოსი!

# სიძე, შე ძველო, რამ შეგაყვარა ასე ცოლეურები და მათი სიმღერა!..

**ჩამოვიდა ერთ დღეს ნორვეგიელი მუსიკოსი სვენ ვოგე საქართველოში, გადირია ქართული სიმღერით, მოიხიბლა ქართველი ასულით, გახდა ჩვენი სიძე, ისწავლა უამრავი ქართული ხალხური სიმღერა, ამ სიმღერებით „მოწამლა" თანამემამულენი – პეტერ სიმონსენი და ივერ ვოგე, ამეცადინა ეს ხალხი, დახვეწა რეპერტუარი, ანზორ ერქომაიშვილისა და ოთარ ბერძენიშვილის, ანსამბლ „ლაშარის" წევრების რჩევა-დარიგებებიც გაითვალისწინა და ნორვეგიის ეკლესიებში ქართული ჰანგი ააჟღერა.**

თუმცა, უქართველოდ, მაინც ბევრი რამ აკლდა სამ ნორვეგიელს და აი, ოსლოში, სვენ ვოგეს დისერტაციის დაცვის შემდეგ (დისერტაცია ქართული ფოლკლორის ფენომენზე დაიცვა) ანსამბლ „ლაშარის" ხელმძღვანელთან გიორგი უშიკიშვილთან ერთად გადაწყვიტეს ნორვეგიელთა „ქართულ" ჯგუფს „ლაშარის" მომღერალი ბექა სეზისკვერაძე ჩადგომოდა სათავეში, ხოლო ჯგუფისთვის „გიორგი" დაერქმიათ.

– „გიორგის" რეპერტუარში უკვე ორმოცდაათამდე ქართული ხალხური სიმღერაა, – ამბობს ბექა სეზისკვერაძე, – ნორვეგიელები, რეპეტიციებისთვის, წელიწადში 3-4-ჯერ ჩამოდიან ხოლმე საქართველოში, მათ, შეიძლება ითქვას, უკვე ფეხითა აქვთ მოვლილი ჩვენი ქვეყანა, რადგან წესად გაიხადეს: რომელი კუთხის სიმღერასაც სწავლობენ, აუცილებლად ჩავიდნენ იმ კუთხეში. ნეტა იცოდეთ, როგორ მოსწონს ნორვეგიელ მსმენელს ქართული მელოდია!.. მახსოვს, ერთხელ, ბილეთები რომ აღარ იყო, თავიდან დაიწყეს კონცერტი ერთ-ერთ ეკლესიაში... ანსამბლს დაგეგმილი აქვს გამოსვლებში ნორვეგიის პერიფერიებში, მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორის ფესტივალებზე, გასტროლები, საქართველოში...

...გასტროლებამდე კი, აგერ, ახლახან, ანსამბლი „გიორგი" საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში პირველად წარსდგა ქართველი მსმენელის წინაშე.

დიდი შთაგონებით შეასრულა ჯგუფმა ქართული სიმღერები, სახეგაბრწყინებული იდგა ჩვენი სიძე – სვენ ვოგე – უნიჭიერესი მუსიკოსი და მუსიკისმცოდნე, ქართველი ქალისა და ქართული ტრადიციების დამფასებელი. რა გასაკვირია, საქართველომ და ქართულმა ფოლკლორმა მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ხომ სულ სხვა ეშხი მისცა.

**ვილენ მარდალეიშვილი**



**სურათზე: გამოდის ანსამბლი „გიორგი". მარცხნიდან – ივერ ვოგე, სვენ ვოგე, ბექა სეზისკვერაძე, პეტერ სიმონსენი.**

იცოდით?



# მფრინავი სასახლე

**აშშ-ს პრეზიდენტს ორი რეაქტიული ლაინერი დააქროლებს. ფრენისას თვითმფრინავის ბორტზე 415 ათასი ლიტრი სათადარიგო საწვავი აქვთ გაუთვალისწინებელი სიტუაციისათვის. ლაინერს ნახევარი დედამიწის შემოფრენაც შეუძლია შეუჩერებლად და ჰაერშივე საწვავის ჩასხმაც.**

სალონი ფეშენებლური ოტელის ნომერს მოგაგონებთ 1200 კვადრატული მეტრი ფართობით. ქვედა დონე სატვირთოა, მგზავრთა აპარტამენტები შუა იარუსზეა განლაგებული, ზემოთ – კავშირგაბმულობის მოწყობილობა.

ჯორჯ ბუშის თვითმფრინავში არის აბაზანა, საწოლი ოთახი, სავარჯიშო დარბაზი და კონფერენც-დარბაზი. კიდევ – ორი სამზარეულო, მინი-საავადმყოფო საოპერაციოთი და საშტატო ექიმით, 85 ტელეფონი და 19 ტელევიზორი. გარე დაცვას ლაინერის ელექტრონული სისტემის გათიშვის აცილება ძალუძს, მიწაზე ბირთვული აფეთქების შემთხვევაშიც კი.

# აქა ამბავი ვირისა და სპილოსი

**იმოდენა სახელმწიფოში, როგორიც არის აშშ, ფაქტობრივად, ორი პოლიტიკური პარტიაა – დემოკრატიული და რესპუბლიკური და მორიგეობით მართავენ ქვეყანას. მხოლოდ ორი განსხვავებით პაწია საქართველოსგან, სადაც ლამის ყოველი წვიმის მერე ახალი პარტია „ამოდის"...**

ცოტა გასაკვირია, რომ წამყვანმა ამერიკულმა პარტიებმა თავიანთ სიმბოლოდ თუ ემბლემად აირჩიეს ვირი (დემოკრატებმა) და სპილო (რესპუბლიკელებმა), რომლებიც სულაც არ არიან ამერიკული ფაუნის ოდინდელი წარმომადგენლები. საიდან მოდის ეს?

ვირი პირველად, თურმე, 1828 წელს გამოჩნდა დემოკრატთა პლაკატებზე, ენდრიუ ჯექსონის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ერთ-ერთმა ოპონენტმა მას საჯაროდ უწოდა ვირი, რის შემდეგაც კანდიდატის გუნდმა დიდყურას გამოსახულების მოთავსება წინასაარჩევნო მასალებზე გადაწყვიტა. „ვირი" ჯექსონი აშშ-ს მეშვიდე პრეზიდენტი გახდა...

რესპუბლიკური სპილოს ისტორიაც ხუმრობით იწყება. 1850-იანი წლების ერთ-ერთი წინასაარჩევნო კამპანიის დროს, მხატვარმა თომას ნასტმა კარიკატურა დახატა. რესპუბლიკური პარტია გამოხატული გახლდათ ჭურჭლის სავაჭროში მყოფი ერთგვარი სპილოს სახით, რომლის მოუქნელობამ შეიძლება ყველა ამომრჩეველი დააფრთხოს. პარტიელებმა იუმორი დააფასეს და მიითვისეს კიდევაც ეს სახე.

დემოკრატებს ვირუკას დამჯერობა და მომხიბვლელობა მოსწონთ, რესპუბლიკელები კი სპილოს ღონისა და ინტელიგენტობის ნიმუშად მიიჩნევენ...

**თამაზ ებანოიძე**

გამოფენა

# წამით, შეხედეთ!..

**კავკასიური სახლის გალერეა „სოლოლაკში" საქართველოში სომხეთის საელჩოს მხარდაჭერითა და სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის ორგანიზებით, საქართველოში მოღვაწე სომეხი ფოტოხელოვნების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. ეს რიგით მესამე ღონისძიებაა, რომელიც სომხურ დიასპორას მიეძღვნა. საკუთარი შემოქმედების სახალხოდ წარმოჩენის საშუალება ბევრ ცნობილსა და დამწყებ ხელოვანს მიეცა. ზოგი ფოტოსურათი მრავალგზის გამოფენილი და მოწონებული იყო, ზოგმაც – დღის სინათლე პირველად იხილა.**

გამოფენამ ფოტოხელოვნების ბევრი მოყვარული შეკრიბა, რომლებსაც საქართველოში სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა – გრაჩ სილვანიანმა, ეპარქიის წინამძღვარმა – ვაზგენ მირზახანიანმა, კულტურის საკითხებში ეპარქიის წარმომადგენელმა – მიხეილ ავაქიანმა, მერუჟან შაუმიანმა და გალერეა „სოლოლაკის" ხელმძღვანელმა ჰამლეტ ზუკაკიშვილმა მიმართეს.

სომხეთის ელჩი მიესალმა ამ ინიციატივას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ექსპონატები ოსტატთა ნამუშევრებია. ბოლო დროს თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხშირად ეწყობა კულტურული ღონისძიებები მისი თანამემამულეების მონაწილეობით, რაც სომხური კულტურისა და შემოქმედების ერთგვარი პროპაგანდაცაა. ელჩმა, აგრეთვე, გაიხსენა ქართული ფოტოგრაფიის 1,5-საუკუნოვანი ისტორია, რომლის გავლენის ქვეშაც დღემდე იმყოფება და იმედი გამოთქვა, რომ მდიდარი ტრადიციები მომავალშიც გაიდგამს ფესვებს.



ფოტოგამოფენა უსათაურო იყო, ეს ხელოვნებს ფანტაზიისა და ნიჭის გამოვლენის სრულ თავისუფლებას აძლევდა – ფარგლებისა და შეზღუდვების გარეშე. ცნობილი ადამიანების პორტრეტები, პეიზაჟები, საცეკვაო ანსამბლები, ნატურმორტები თუ უბრალო ცხოვრებისეული მომენტები უკვდავყოფილია ფოტოგრაფების: იური მეჩითოვის, აზატ მანუკიანის, იური ტერტერიანის, არტემ კირაკოზოვის, ალექსანდრე მამულოვის, თემურ გევორქიანის, სარგის დარჩინიანის, იური აკულიანის, ისაი აზოვიანის, პეტრე ფილინ-მელიქბახტარიანის მიერ.



**ნინო ბერძნიშვილი**

**სურათებზე: გამოფენის სტუმარ-მასპინძლები და ექსპონატები.**

**თემურ გევორქიანის ფოტო**

რა არ ხდება

# შეჯავშნული „დედაენა"

**ამერიკაში სკოლებზე არაერთმა შეიარაღებულმა თავდასხმამ ყოფილი სამხედრო ბილ კროზნერი შეჯავშნული „დედაენის" შესაქმნელად განეწყო.**

სასკოლო სახელმძღვანელოების ტყვიაგაუმტარი ყდებით შემოსვის იდეა მას ერთ-ერთი მოსწავლის სასწაულებრივი გადარჩენის შემდეგ დაებადა. თავდასხმის დროს ატეხილი სროლისას, ბოროტმოქმედმა ბიჭუნას ესროლა ზურგში. ბავშვი ცოცხალი მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ ტყვიამ ვერ გააღწია ჩანთაში ჩადებული „დედაენის" სახელმძღვანელოში.

ბავშვების ბოროტმოქმედთა ტყვიისგან დასაცავად კროზნერმა გადაწყვიტა ამერიკული „დედაენა" კევლარიდ ფირფიტებით დამზადებული ყდით „დაემშვენებინა". ეს სწორედ ის მასალაა, რასაც იყენებენ ჯავშანჟილეტების დამზადებისას. თუმცა სახელმძღვანელოს გარდაქმნა დამცველ ფარად ერთობ ძვირი ჯდება, მაგრამ, „ჩიტი ბდღვნადა ღირს", – მიაჩნია გამომგონებელს.

„Ерyд-7"

- შემდეგ კი მამონტებზე ნადირობაც იქნება შესაძლებელი, ოღონდ... ქვის იარაღებით
- პენსია ყველა შემთხვევაში გეკუთვნით, მოგვწერეთ, რომელი რაიონის სოცია-ლური დაზღვევის ფონდის განყოფილება გეუბნებათ უარს და აუცილებლად და-გეხმარებით



№ 235. ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2006 წელი.

დედაბუნება

# „პლეისტოცენის პარკში“, მამონტებზე სანადიროდ

**დედაბუნებაში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, ამდენად, შორეულ წარსულში ფლორისა და ფაუნის ზოგიერთი სახეობის გაქრობამ „დომინოს“ ეფექტი წარმოშვა. მეცნიერები მხოლოდ ახლაღა იწყებენ „კვების პირამიდის“ საფუძველთან მყოფი მეგაფაუნის წარმომადგენელთა გადაშენების შედეგების მასშტაბების შესწავლას, რაც რამდენიმე ათასწლეულის წინათ დაიწყო.**

ამერიკული ჟურნალი „Americoan Naturalist“-ი აპირებს აშშ-ის კორნელის უნივერსიტეტისა და ალბუკერკის ველური ბუნების ინსტიტუტის მკვლევართა ერთობლივი დეტალური ნაშრომის გამოქვეყნებას, რომელიც კონტინენტის ისტორიამდელ ხანაში დაბრუნების საკითხს ეძღვნება.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „The Daily Telegraph“-ი წერს, რომ ეკოლოგები, ვინც მხარს უჭერს „გაველურების“ იდეას, ვინმეს შეიძლება შეშლილები ეგონოს, რომლებიც შემოქმედის როლის შესრულებას ლამობენ. ზოგმა კი შესაძლოა ისინი თავგამოდებულ ენთუზიასტებად მიიჩნიოს, რომლებსაც დედამიწის დაბრუნება 1,8 მილიონიდან 10 ათას წლამდე წინანდელ ეპოქაში სურთ, როცა ეკოსისტემები გაცილებით უფრო მრავალფეროვანი იყო, ვიდრე ამჟამად. გაზეთი იმასაც აღნიშნავს, რომ მეცნიერთა პირველმა ცდებმა უკვე მოიტანა სასიკეთო შედეგები.

„ჩვენი მუშაობის გასაცნობად ათი წუთი რომ გვქონოდა, ხალხს შეშლილები ვეგონებოდით, მაგრამ, მერწმუნეთ, ერთი საათის განმავლობაში ჩვენ შევძლებდით მათ გადარწმუნებას“, — ამბობს პროექტის ერთ-ერთი მონაწილე, პროფესორი გარინი, რომელიც ასევე აცხადებს, რომ მკვლევარებს აფრიკის მეგაფაუნის იმედი აქვთ.

ბოლო დრომდე, ბიოლოგები 1492 წელს, ამერიკაში ქრისტეფორე კოლუმბის ჩასვლამდე არსებული ჩრდილოამერიკული ეკოსისტემების აღდგენით იყვნენ დაკავებული. მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ დიდი ცხოველები, მაგალითად, მამონტები, ამერიკის კონტინეტზე გაცილებით უფრო ადრე, დაახლოებით 13 ათასი წლის წინათ გაქრა. სწორედ მამონტები და მათი მსგავსი ცხოველები არიან ის საკვანძო ბიოლოგიური სახეობები, რომელთა გადაშენების შემდეგ ეკოსისტემებში შიგა კავშირები დაირღვა, რამაც ფლორისა და ფაუნის სახეობრივი გაღარიბება გამოიწვია.

**როცა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე თითქმის ერთიანად განადგურდა მგლები და გრიზლის სახეობის დათვები, მკვეთრად გაიზარდა ხარირმების პოპულაცია. თავის მხრივ, ხარირმები ძოვენ ტირიფს, რომელიც თახვების საყვარელი საკვებია. ამის შედეგად, ზამთრის პერიოდში, კოლორადოს შტატში თახვების პოპულაცია 90 პროცენტით შემცირდა. არადა, თახვები მდინარეებზე კაშხლებს აშენებდნენ, რის შედეგადაც წყლის დონე იწევდა და ტბორავდა ნაპირებს, სადაც ტირიფები იზრდებოდა. ახლა კოლორადოს იმ ადგილებში, სადაც თახვების პოპულაცია შემცირდა, ტირიფების მასივებმა 60 პროცენტით მოიკლო. ეს კი, თავის მხრივ, იმის მიზეზი გახდა, რომ ახლა აქ გაცილებით ნაკლები გადამფრენი მგალობელი ფრინველი ბუდობს.**



ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში ცდილობენ **გიგანტური მკერდნისკარტა კუთებს, ტყის ბიზონებისა და სხვა** ცხოველთა პოპულაციების აღდგენას. პლეისტოცენის ველური ბუნების აღდგენის მცდელობის შემდეგი ნაბიჯი იქნება **ველური ცხენების,** შემდგომ კი სპილოების პოპულაციების აღდგენის ექსპერიმენტები, რისთვისაც მათ აზიელ „ნათესავებს“ გამოიყენებენ. მეცნიერები ასევე აპირებენ კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლების, სავარაუდოდ... **გამოქვაბულის ლომის** აღდგენას!

ალსანიშნავია, რომ მკვლევარებს სერიოზულად აფიქრებთ ამერიკის შეერთებული შტატების ეკოლოგიური სისტემების „აშკარა დისფუნქციონალობა“, ამიტომაც განსაკუთრებით დიდ იმედებს „ველურობის ეპოქის“ დაბრუნების საქმეში ისინი აზიისა და აფრიკის ტერიტორიებს უკავშირებენ, ვინაიდან დედამიწაზე მხოლოდ აქლა შემორჩა ის ადგილები, სადაც ნაირსახა მეგაფაუნა თითქმის ხელუხლებლადაა შემორჩენილი.

ველური ბუნების სახეობრივმა გამდიდრებამ ადამიანს შეიძლება თავიდან აააცილებინოს სხვადასხვა დაავადება. მაგალითად, **სავარაუდოდ, მტაცებლებს შეუძლიათ აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ლაიმის ავადმყოფობის აფეთქების შეჩერებაში ქმედითი დახმარების გაწევა.** ამ სნეულების გადამტანია შავფეხა ტკიპები, რომელთა დიდი ოდენობა განპირობებულია **თეთრფეხება ზაზუნებისა და თეთრკუდა ირმების** კატასტროფულად მრავალრიცხოვანი პოპულაციების არსებობით, რომლებზეც ისინი პარაზიტირებენ.

საგულისხმოა, რომ რუსეთის აკადემიის ნამდვილმა წევრმა სერგეი ზიმოვმა „პლეისტოცენის პარკის“ შექმნა ციმბირში ჯერ კიდევ 1989 წელს დაიწყო. კვლევის მიზანია **გრძელბეწვა მამონტებისა** და სხვა ისტორიამდელი ცხოველების გადაშენების მიზეზების გარკვევა. ამ დროიდან მოყოლებული, პარკის ტერიტორია თანდათანობით სავანას ემსგავსება, როგორიც ის 10 ათასი წლის წინათ იყო. აკადემიკოსი ზიმოვი ამტკიცებს, რომ „რეგიონის ფლორას ფაუნა განაპიროებებს და არა პირიქით“. ამიტომ იგი იმედოვნებს, რომ ცხოველები, რომლებითაც „პლეისტოცენის პარკი“ იქნება დასახლებული, შეძლებენ მოძოვონ, ჩლიქებით „გატკეპნონ“ ტუნდრის ხავსები, რითაც ხელს შეუწყობენ ნიადაგის გაშრობასა და მის აზოტით გამდიდრებას. „ყოველივე ეს მიწას წარსულის ბიოლოგიურ მეხსიერებას დაუბრუნებს და ბალახების აღმოცენების სტიმულს მისცემს“, — დარწმუნებულია მეცნიერი.

სერგეი ზიმოვს ასევე სურს გადაამოწმოს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ **„ხორთუმიანი გოლიათების“** გადაშენების მიზეზია არა მარტო კლიმატური პირობების შეცვლა, არამედ მამონტების განადგურება პირველყოფილი მონადირეების მიერ. იგი სერიოზულად აპირებს მამონტის „ხელმეორედ მოვლენას“ მისი დნმ-ს გენეტიკური კოდის აღდგენის საფუძველზე. „შემდეგ კი მათზე ნადირობაც იქნება შესაძლებელი, ოღონდ მხოლოდ „პლეისტოცენის პარკშივე“ საკუთარი ხელით დამზადებული ქვის იარაღებით“, — ხუმრობს მეცნიერი.

ტვინი

# ადამიანმა რომ მეტი დაიხსომოს

**ამერიკელი და გერმანელი სპეციალისტების ჯგუფმა მოაწყო გამოკვლევა, რომლის დროსაც ეცადნენ ადამიანის ტვინის მიერ ინფორმაციის აღქმის გაძლიერების შესაძლებლობის შესწავლას. გამოირკვა, რომ ადამიანის უნარი, აღიქვას და შეითვისოს ინფორმაცია, უფრო სრულად ვლინდება ძილის დროს.**

უფრო მეტიც, სწავლულებმა შეძლეს განესაზღვრათ, რომ ელექტროდენის სუსტი ზემოქმედება ტვინზე მოქმედებს კატალიზატორად და არსებითად ზრდის აღსაქმელი და გადასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობას. საიდუმლო როდია, რომ, თუ ძილის დრო ხანგრძლივი არაა, მაშინ ინფორმაცია მთლიანად არ აღიქმება და ნაწილობრივ დაივიწყება კიდევაც.

კვლევაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. გამოსაცდელთა ჯგუფს წინადადება მიეცა, ტესტები ჩაებარებინათ კვლევის დაწყებამდე, შემდეგ კი რამდენიმე თვის მანძილზე ძილში მათ ტვინზე მოქმედებდნენ სუსტი ელექტროდენით. დღისით სტუდენტებს ასწავლიდნენ ერთნაირი პროგრამით. ყოველივე ამის შედეგად გამოსაცდელთა ჯგუფმა შემაჯამებელი ტესტები თავიანთ „პარტნიორებზე“ გაცილებით უკეთ ჩააბარა.



ინფორმაცია

# საპროტესტო აქცია ზუგდიდში

**გუშინ, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობის წინ, საპროტესტო აქცია გამართეს მსჯავრდებულების პაატა და ხვიჩა ზარანდიების ოჯახის წევრებმა. აქციის მონაწილეებმა გააპროტესტეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ზარანდიებს, შესაბამისად, 4 და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.**

დაკავებულთა ოჯახის წევრების განცხადებით, სასამართლო შეცდომაში შეიყვანა პაატა ზარანდიას ცოლმა ია ტყავაძემ, რომელიც მეუღლესთან გაშორებულია. მეუღლესთან პირადი ანგარიშსწორების მიზნით, ტყავაძემ, შვილის სანახავად მისულ პაატა ზარანდიაზე განაცხადა, რომ იგი, ხვიჩა ზარანდიასთან ერთად, მის ოჯახს ძარცვავდა.

**ინტერპრესნიუსი**

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: მყავს 93 წლის ბიძა, I ჯგუფის უსინათლო. მას პენსიის მისაღებად მისვლა არ შეუძლია, მე კი მისი კუთვნილი პენსიის მიღებაზე უარი მითხრეს, მინდობილობა უნდა გაიფორმოო.**

**ამდენ წვალებას, არ ჯობია, ბიძაჩემმა თავისი კუთვნილი კაპიკები სახლში მიიღოს?**

**მირიან ნანავა**

**პასუხი:** შექმნილი მდგომარეობიდან არის კანონიერი გამოსავალი. საჭიროა ბიძათქვენის სახელით განცხადებით მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას, I ჯგუფის უსინათლო ინვალიდისთვის ბანკიდან პენსიის ბინაზე მიტანის თაობაზე და მას კუთვნილ 40 ლარს ყოველთვიურად ბინაზე მიართმევენ.

* * *

**კითხვა: აფხაზეთის ომში დამეღუპა შვილი, რომელიც ჩემი ერთადერთი მარჩენალი იყო. ვარ 65 წლის, თბილისში დაბადებული და დღემდე ვცხოვრობ დედაქალაქში. ვიღებ პენსიას შვილის დაღუპვის გამო. ეკონომიურად უკიდურესად მიჭირს.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორც მარჩენალდაკარგულ მშობელს, მეკუთვნის თუ არა შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე?**

**ლეილა კობახიძე**



**პასუხი:** თუ თქვენ გაქვთ ომის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული შესაბამისი საბუთი, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე თავისუფლდებით კომუნალური მომსახურების გადასახადებისგან, ხოლო თუ რაიონში ცხოვრობთ, შეღავათები გაგივრცელდებათ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ბიუჯეტი იძლევა მისი დაფინანსების შესაძლებლობას.

* * *

**კითხვა: გთხოვთ მიპასუხოთ, რა ოდენობის თანხა ეძლევა მარტოხელა დედას თითოეულ ბავშვზე?**

**მაია მიჩელაშვილი**

**პასუხი:** თბილისში მცხოვრებ მარტოხელა დედებს, თითოეულ ბავშვზე, ყოველთვიური დახმარება ეძლევათ მხოლოდ 5 ლარის ოდენობით.

* * *

**კითხვა: ვარ I ჯგუფის უსინათლო ინვალიდი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, ვრცელდება თუ არა ჩემზე შეღავათი ტელეფონის სააბონენტო გადასახადის გადახდის დროს?**

**კოტე მაისურაძე**

**პასუხი:** I ჯგუფის უსინათლო ინვალიდებზე შეღავათები ტელეფონის სააბონენტო გადასახადის გადახდის დროს ვრცელდება. უფრო კონკრეტულად, ელექტრონულ აპარატზე იხდიან 90 თეთრს, ხოლო დანარჩენ აპარატებზე — 70 თეთრს.

* * *

**კითხვა: ვარ 16 წლის, გარდამეცვალა მამა, დედა მუშაობს მაღალ ხელფასზე. პენსიის დანიშვნაზე უარს მეუბნებიან, პატრონი და შემნახავი გყავსო.**

**რამდენად სწორია ასეთი პასუხი?**

**ანა ხურციძე**

**პასუხი:** პენსია ყველა შემთხვევაში გეკუთვნით, მოგვწერეთ რომელი რაიონის სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილება გეუბნებათ უარს და აუცილებლად დაგეხმარებით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

შპს „თბილმეტრომშენის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ბატონ აბესალომ ყურაშვილის შვილის

იოსებ ყურაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სს „ბოლნისიგაზი“ გაცნობებთ, რომ 2006 წლის 20 დეკემბერს დღის 13 საათზე შედგება საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე კრება დღის წესრიგით:**

1. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში;
2. სხვადასხვა.

საზოგადოების აქციონერთა კრება შედგება მისამართზე: **ქ. ბოლნისი, წმიდა ნინოს ქ. №36 ა. ს.ს. „ბოლნისიგაზის“ ადმინისტრაციის შენობაში.**

**სს „ბოლნისიგაზის“ ადმინისტრაცია**

● დაზარალებულთათვის არც სასწრაფო დახმარება გამოუძახიათ და არც — პატრული, რათა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე წაეყვანათ





◉ სულიერება

# წმინდა დიდმოწამე მიქაელი-გობრონი



**30 ნოემბერს ქართული სამოციქულო ეკლესია ქართველ მხედარ გობრონს და ასოცდაცამეტ მის თანამებრძოლს იხსენიებს.**

**არაბებმა უკანასკნელად 914 წელს დალაშქრეს კავკასია.**

... სარკინოზებმა სცადეს, იერიში მიეტანათ თმოგვის ციხეზე, მაგრამ ვერ აიღეს და უკანგაბრუნებულებმა ყველის ციხეს შემოარტყეს ალყა. ციხე კარგად იყო გამაგრებული, მაგრამ მეციხოვნენი შიგ ცოტანი იყვნენ. არაბებმა შეიპყრეს ნეტარი გობრონი და მისი თანამებრძოლები და მათგან მოითხოვეს უარეყოთ ქრისტიანობა. გობრონმა მშვიდად უპასუხა: „ხელმწიფეო, ნუ მაიძულებ დატოვებად ქრისტეანობისა, რომელთა აღმზარდეს მე მშობელთა ჩემთა და აღზეჰდილ ვარ სულითა წმიდითა“....

განრისხებულმა არაბმა სარდალმა დაიწყო ცოცხლად დარჩენილი ქართველების უმოწყალო ხოცვაჟლეტა. დახოცილთა სისხლი ეპკურებოდა გობრონს, მან სისხლით ჯვარი გამოისახა შუბლზე...

მოთმინებადაკარგულმა სარდალმა ბრძანა თავი წაეკვეთათ გობრონისთვის და მოკლულებთან ერთად ჩაეყარათ საფლავში.

... ქრისტიანებიც და ურწმუნოებიც ღამ-ღამობით ხედავდნენ, თუ როგორ აღგებოდა მათ საფლავებს ზეციური ნათელი.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

◉ მემკვიდრეობა

# დავითგარეჯის საკითხზე – მუდმივი მონიტორინგი

**საქართველოს პარლამენტი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის საკითხზე მუდმივ მონიტორინგს განახორციელებს. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ პარლამენტის ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრმა ზვიად ძიძიგურმა აცნობა.**

— საქართველოს ხელისუფლებამ გვითხრა, რომ აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლზე მდებარე დავითგარეჯის მონასტერთან დაკავშირებით აზერბაიჯანის მხრიდან სიურპრიზები არ იქნება. ხელისუფლების განმარტებით, უძველესი ქართული სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ არსებული გაუგებრობის გასარკვევად შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუდმივ მეთვალყურეობას გაუწევს აღნიშნულ საკითხს. ჩვენი მოთხოვნით, ეს ჯგუფი ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე და შესაბამისად ეტაპობრივად მოგვაწვდის ინფორმაციას მონასტრის შესახებ,— განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

საგანგებოდ შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ისტორიკოსებით, გეოგრაფებითა და სხვა სპეციალისტებით დაკომპლექტდა, პარლამენტის წინაშე დეკემბერში წარსდგება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ გვემრავლოს!

# თითოეული ბავშვი ოქროს ზოდია



**მრავალშვილიანობა საქართველოს უკვდავებაა, ამიტომ ყოველი ჩვილის დაბადება ზეიმია ახალგაზრდა ოჯახებისთვის; განსაკუთრებით — ბიჭის, რადგან მასში გვარის გამგრძელებელს ხედავენ, მახარობლები სამშობიარო სახლებიდან სისტემატურად გვატყობინებენ სასიამოვნო ამბებს:**

— ნოემბერი ჩვენთან „უხვმოსავლიანი“ იყო — 240 ჯანმრთელი ჩვილი დაიბადა, — გვაცნობა შარაშიძის სახელობის სამედიცინო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ ალექსანდრიდიმ, მხოლოდ 27-28 ნოემბერს 11 ბავშვი დაიბადა.

ჩვენთან რაიონებიდან ჩამოსულებიც არიან, მაგრამ ამჯერად იმ 240-ში თბილისელები ჭარბობენ; უფრო — ვაჟიანობაა. 2006 წლის მეთერთმეტე თვე ჩვენთან ამითაც გამოირჩევა, — დასძინა მან.

ღმერთმა ამრავლოს ქართველთა მოდგმა!

**ნათელა ფაილოძე**

◉ ლარის კურსი

**30 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3545 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7335 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2726 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0657 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9873 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4661 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4429 ლარი. |

◉ ანეკდოტები

**მიხო შვილს დეპეშას უგზავნის:**

**— როგორ ჩააბარე გამოცდები? სასწრაფოდ მიდეპეშე.**

**— გამოცდები ბრწყინვალედ ჩავაბარე. პროფესორები აღტაცებულები არიან. საშემოდგომოდ გამეორებას თხოულობენ.**

* * *

**— სად მუშაობს მამაშენი? — ეკითხება მასწავლებელი პატარა მიხოს.**

**— პროსტიტუციაში.**

**— აბა, რას ამბობ, არა გრცხვენია?**

**— რას ვამბობ და, სიმართლეს. სამსახურში წასვლის**



**წინ მამა სულ ამბობს: „აბა, კვლავ წავედი იმ ბორდელში“. დედა კი ეუბნება: „კარგად მაინც გიხდიდნენ ის თახსირები“.**

* * *

**— აბა, ერთი მომაწევინე.**

**— ვინა ხარ, კაცო, შენ?**

**— როგორ თუ ვინა ვარ, აქ ყოველი ძაღლი მიცნობს!**

**— ჰოდა, ძაღლებს სთხოვე.**

* * *

**ხუთასი სახედარი რომ შევკრიბოთ და ერთი პრობლემის გადაწყვეტა ვთხოვოთ, ამის ნაცვლად 500 პრობლემას მივიღებთ.**

* * *

**— მისმინე, — ეუბნება ძმაკაცი ივანიჩს, — ამბობენ, რომ ქალი, ვისთანაც დადიხარ, ძალიან შეუხედავია. მართალია?**

**— ჰო, პლასტიკურ ქირურგთანაც მყავდა, მაგრამ მითხრა, უმჯობესია, კუდი მივაკეროთო.**

◉ ინფორმაცია

# ბადრაგმა კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის წევრები სცემა

**კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის ლიდერის თემურ ჟორჟოლიანისთვის რუსთავის მეექვსე საპყრობილეში ამანათის გადასაცემად მისული პარტიის წევრები ბადრაგმა სცემა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარტიიდან აცნობეს.**



როგორც პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, პარტიის გენერალური მდივანი ირაკლი კობრავა და პარტიის კიდევ ერთი წევრი, პატიმრისთვის ამანათის გადასაცემად მთელი ღამის განმავლობაში საპყრობილის კართან რიგში იდგნენ, საპყრობილის ბარდაგმა კი ისინი სიმთვრალეში დაადანაშაულა.

მათივე თქმით, მოგვიანებით, ბადრაგს საპყრობილის სხვა თანამშრომლებიც შეუერთდნენ და პარტიის ორივე წევრი სასტიკად სცემეს.

— ორივე მათგანი ფხიზელ მდგომარეობაში იყო და ბადრაგს პრეტენზიის საფუძველი არ ჰქონდა. დაზარალებულების დასახმარებლად არც სასწრაფო დახმარება გამოუძახიათ და არც პატრული, რათა მათი ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანა მომხდარიყო, — განმარტავენ პარტიის წევრები.

კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი, სხვა პირებთან ერთად, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა 6 სექტემბერს სამშობლოს ღალატისა და ამბოხების მოწყობის მცდელობის ბრალდებით დააკავა.

◉ კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.